
მე და რეალობა



მე და რეალობა.

არამ ბაზიკიანი.

1. ფილოსოფია.
2. ფსიქოლოგია.
3. მე.
4. ბუნება.
5. სამყარო.
6. შინაგანი სამყარო.
7. გარე სამყარო.
8. რეალობა.
9. ლოგიკა.
10. დიდაქტიკა.
11. პედაგოგიკა.
12. ისევ და ისევ ლოგიკა.
13. მათემატიკა.
14. ფიზიკა.
15. ქიმია.
16. ბიოლოგია.
17. მედიცინა.
18. ხელოვნური ინტელექტი.
19. რობოტი.
20. ლოგიკური აზროვნება.
21. კრიტიკული აზროვნება.
22. ანალიტიკური აზროვნება.
23. აბსტრაქტული აზროვნება.
24. კონსტრუქტიული აზროვნება.
25. მეცნიერული მიდგომა.
26. მონაცემთა შეგროვება.
27. ინდუქცია.
28. დედუქცია.
29. ექსტრაპოლაცია.
30. ანალოგია.
31. კანონზომიერება.
32. ობიექტური ჭეშმარიტება.
33. ინსტინქტები.
34. გრძნობები.
35. გონი.
36. დემაგოგია.
37. "ავტოდემაგოგია".
38. კოგნიტიური მიკერძოებები.
39. დრო. წარსული , აწმყო , მომავალი.
40. ბედი არ არსებობს.
41. ქცევა.
42. საზოგადოება.
43. პროსოციალური ქცევა.
44. ინდივიდუალიზმი და სოციალურობა.
45. რაში გვჭირდება ცოდნა?
46. პროგრესი. მიზეზ-შედეგობრივი კავშირები.
47. ფილოსოფიური პროგრესი.
48. ფსიქოლოგიურ-ქცევითი პროგრესი.

49. სოციალური პროგრესი.
50. მეცნიერული პროგრესი.
51. ტექნიკური პროგრესი.
52. დრო შეიცვალა თუ ადამიანი?
53. უნივერსალური გენიოსები და საყოველთაო რენესანსი.
54. კონსტრუქტიული ოპტიმიზმი რეალობასთან მიმართებაში.
55. რეალობის გამოკვლევის მძლავრი საშუალება.
56. კომპლექსური მიდგომა.

ფილოსოფია.

როდესაც სიტყვა "ფილოსოფია" გვესმის , ზოგს სამწუხაროდ უჩნდება მოსაზრება , რომ ფილოსოფია ანტიკურ ეპოქასთან ერთად წარსულს ჩაბარდა. ზოგი კი , ასევე სამწუხაროდ , ფიქრობს , რომ ფილოსოფია - ენის ცარიელი და უმოქმედო ქნევაა , უნაყოფო ტლიკინი , უსაქმურობა... ასეთი აზრები ეჭვის ქვეშ აყენებს ფილოსოფიას როგორც მეცნიერებას და აკნინებს , ამცირებს ფილოსოფიის როლს ჩვენს ცხოვრებაში , არადა მისი როლი , როგორც ჩვენ დავინახავთ მოგვიანებით , ძალიან დიდია და მნიშვნელოვანი. კი , მაგრამ რანაირი უნდა იყოს ფილოსოფია , რომ ის იყოს დაფასებული , რომ "ენის ქნევა" გარდაიქცეს სერიოზულ მეცნიერებად , რომელსაც **ობიექტური ფილოსოფიური ანალიტიკა** ჰქვია და რომელსაც შეუძლია დადებითი გავლენა მოახდინოს ჩვენს კეთილდღეობაზე? პირველ რიგში სწორად დავსვათ შეკითხვები , რომ სწორად გავცეთ მათ პასუხები , რადგანაც არასწორად და არაადექვატურად დასმულ კითხვას რთულია სწორად გასცე პასუხი , საერთოდ თუა შესაძლებელი. მაშინ საჭიროა ჯერ ვთქვათ:

- რა არის ფილოსოფია?
- როგორი უნდა იყოს ნამდვილი და კარგი ფილოსოფია?
- რას უნდა ემსახურებოდეს ფილოსოფია?
- რა არის კეთილდღეობა?
- როგორ ვიმოქმედოთ ამ კეთილდღეობაზე დადებითად?
- რა არის "დადებითი".

აი რა გამოდის , როდესაც ამ გეგმის მიხედვით ვადგენთ ერთიან პასუხს:

ფილოსოფია - ეს არის სიბრძნე. გონივრულობაა. ფილოსოფია როგორც მეცნიერება წარმოადგენს რეალობის შეცნობის მეთოდებსა და მიდგომებს. ფილოსოფია უნდა იყოს ჭეშმარიტი , სანდო , ადექვატური , ადამიანებისთვის სასარგებლო , რაციონალური , უნდა ესაბამებოდეს რეალობასა და მის გამოწვევებს , მის პრობლემებსა და ამოცანებს , უნდა მსჯელობდეს პრობლემათა მინიმიზაციაზე სხვადასხვა სფეროში , მეცნიერებასა თუ ტექნიკაში , სოციალურ სფეროსა თუ უბრალოდ ყოველდღიურობაში. ფილოსოფიამ ეს ყველაფერი რომ შეძლოს , ის უნდა იყოს ხალხის მიერ აღქმადი , საზოგადოებაშო დამკვიდრების უნარის (ფორმისა და შინაარსის) მქონე , უნდა იყოს გასაგები. უნდა იყოს კეთილდღეობის მომტანი. კეთილდღეობა არის ადექვატურად უსაფრთხო და ბედნიერი არსებობა , ადექვატური თვითრეალიზაცია , უსაფრთხოების , მდგრადი სტაბილურობის ქონა , ადამიანის სურვილისა და ობიექტური შესაძლებლობისამებრ ასევე კეთილდღეობა პროგრესს , განვითარებასაც მოისაზრებს. კეთილდღეობა არის სხვადასხვა ფაქტორთა ერთგვარი მრავალკომპონენტიანი კომპლექსი , ერთობლიობა , რომელიც გარკვეული მაჩვენებლით - კეთილდღეობის პირობითი დონით ხასიათდება. რაც უფრო მაღალია ეს მაჩვენებელი - მით უფრო კარგია საზოგადოებისთვის. ამ მაჩვენებელზე დადებით გავლენას ახდენს თვითონ სოციუმი , ადამიანები და მათი ქცევა , ურთიერთქმედება , ეს ყველაფერი კი გამომდინარეობს ფილოსიფიიდან , რომელიც რეალური სამყაროს რეალურ შემეცნებას ემსახურება. აქედან გამომდინარე , ფილოსოფია მძლავრ და სასარგებლო რესურსს წარმოადგენს , რომელიც პირდაპირ უკავშირდება ჩვენს ცხოვრებას. კეთილდღეობის მაჩვენებლის გასაზრდელად საჭიროა ფილოსოფიის სწორი მიმართულების შექმნა. ეს მიმართულება უნდა სამყაროს შეცნობასა და ცოდნის სწორ გამოყენებაზე იმსჯელოს , რაც განაპირობებს კეთილდღეობის მაჩვენებელზე დადებით გავლენას , ანუ მის გაზრდას. კეთილდღეობა არის სხვადასხვა ასპექტში , შესაბამისად ფილოსოფიაც შეისწავლის ბევრ რაღაცას , არის ყოვლის გამაერთიანებელი მეცნიერება. ფილოსოფიას გარკვეული პრაქტიციზმი ახასიათებს.

ჩვენ გავიგეთ თუ რა არის ფილოსოფია და როგორი უნდა იყოს ის , მაგრამ როგორი უნდა იყოს ფილოსოფოსი? რას მოისაზრებს ეს საქმიანობა - "ფილოსოფოსობა"? ისევ სამწუხაროდ , ზოგს ჰგონია რომ ფილოსოფია ადვილი საქმეა , მაგრამ სინამდვილეში ასე არაა. ნამდვილი ფილოსოფოსი - ნამდვილი მებრძოლია. საბრძოლო იარაღად ფილოსოფოსს "ბასრი" სიტყვა აქვს , რომელსაც ზეპირი (საუბარი) , წერილობითი (წიგნი , ნაშრომი , ნაწერი აფორიზმი და ა.შ.) , გრაფიკული (ნახატი ან ამდაგვარი) ან სხვა მსგავსი ფორმა გააჩნია. ფილოსოფოსს უნდა შეეძლოს არა მხოლოდ სწორი ფილოსოფიური მიმართულების შექმნა , არამედ მისთვის ადვილად აღქმადი ფორმის მინიჭება და ხალხში ამ ფილოსოფიის დანერგვა. ახლად შექმნილი კონცეფცია უნდა გახდეს აღიარებული. ამისთვის ხალხის ნაბიჯ-ნაბიჯ მომზადებაა საჭირო. ამას კი ბევრი მეთოდი აქვს და ფილოსოფოსი ფიქრობს იმაზეც თუ როგორ და როგორი მეთოდებით მოამზადოს ხალხი ახალი იდეისთვის. ფიგურალურად რომ ვთქვათ , დაუმუშავებელ ნიადაგზე ხომ ვერ დავთესავთ ხორბლის მარცვლებს. ჯერ ყანა მზად უნდა იყოს და მხოლოდ მერე მოხდეს დათესვა. ფილოსოფიური იდეის დათესვაც მსგავსად ხდება.

ასევე , ცალკე საფიქრალია ინფორმაციის გავრცელება ფართო წრისთვის. ეს ყველაფერი სულაც არაა სწრაფი და ადვილი პროცესი. ეს მრავალსაფეხურიანი შრომაა და რეალურად ბრძოლაა კეთილდღეობისთვის. აი , რამხელა დიდ საქმეს აკეთებენ ნამდვილი ფილოსოფოსები!..

<u>ფსიქოლოგია.</u>

ფილოსოფიური იდეების განხორციელება ხდება საზოგადოების მიერ. საზოგადოება ინდივიდთაგან , ადამიანებისგან შედგება. ფილოსოფიურ იდეებს აღიქვამს სწორად ადამიანის ფსიქოლოგია. ფსიქოლოგია არა მხოლოდ ითვისებს ფილოსოფიას , ის გარკვეულწილად ფორმირდება ფილოსოფიის გავლენით. ფილოსოფია და ფსიქოლოგია ურთიერთკავშირსა და ურთიერთქმედების რეჟიმში არსებობს. ფსიქოლოგია ქცევის , აზროვნების , პრიორიტეტების სახით ვლინდება , ეს ყველაფერი კი ფილოსოფიიდან მოდის , რადგანაც ფილოსოფია პასუხს იძლევა შეკითხვებზე თუ რა არის ეს პრიორიტეტი და , რაც მთავარია , რატომაა ესა თუ ის პრიორიტეტული და ა.შ.

ფსიქოლოგია ძალიან საჭირო და რთული , ბევრი ასპექტის შემცველი მეცნიერებაა. ადამიანის ფსიქოლოგია და ამაზე დაყრდნობილი ქცევა ისტორიულ , დროის დინებისა და ეპოქათა ცვლილების , ასე ვთქვათ , ისტორიულ პერიოდთა "ონტოგენეტიკურ" კონტექსტში სწორად ფილოსოფიის და ამაზე დაყრდნობილი მორალის გავლენით იცვლებოდა. ფილოსოფიური პროგრესი განაპირობებს ფსიქოლოგიურ პროგრესს , ხოლო ეს უკანასკნელი - კვლავ ფილოსოფიის განვითარებად ბრუნდება უკან , ანუ ისევ და ისევ ამ ორის ჯაჭვური ურთიერთქმედება ჩანს.

გამოდის , რომ სწორი ფილოსოფიური აპარატის შექმნით იწყება პრინციპულად ახალი ფსიქოლიგიური ეტაპიც. სწორი ფსიქოლიგია კი კეთილდღეობის მაჩვენებელზე დადებითად მოქმედებს. გამოდის , რომ რეალურ ფასეულობათა და ჭეშმარიტი მორალის სწორი განვითარება - ფილოსოფიის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიზანია. ეს მიზანი მიუღწეველია რეალური სამყაროსა და ადამიანის ფსიქოლიგიის შეცნობის გარეშე. ამიტომაც კარგია , როდესაც ფილოსოფია და ფსიქოლოგია ურთიერთშეთანხმებით მუშაობენ. ეს კაცობრიობის პრობლემათა მოგვარების კომპლექსური მიდგომის ჩასახვაა.

ასევე ამ კონტექსტში ფსიქოლოგიის შესწავლა იმისთვისაა საჭირო , რომ ფილოსოფიურ მიდგომას ფსიქოლოგიურად მარტივი და აღქმადი ფორმა მიეცეს. ადამიანი , წარმოადგენს რა იგი ფილოსოფიური აზრებისა და იდეების მიმღებსა და აღმქმელს , ითვისებს ამ მოსაზრებებსა და დებულებებს , ხოლო ეს ყველაფერი მისი ფსიქიკის მეშვეობით ხდება. ფსიქოლოგიური მექანიზმებისა და პროცესების ცოდნა მნიშვნელოვანია ფილოსოფიური იდეების სწორი

რეალიზაციისთვის მიმღების დონეზე , ანუ როდესაც საქმე ეხება სოციუმის (ჯამურად სოციუმისა როგორც კოლექტივის და კერძოდაც ცალკეული ადამიანების) მიერ ამ იდეების მიღება-უარყოფას. მიმღების ფსიქოლოგიური მზაობა , მენტალური მზად ყოფნა არის ფილოსოფიური კონცეფციისა და მისი იდეების რეალიზაციის ერთ-ერთი პირობა. განვითარებას , ან უფრო ზოგადად - ცვლილებას , ფსიქოლოგიური მზად ყოფნა სჭირდება.

ფსიქოლოგია და ქცევა ვარირებს ფართო ზღვრებში სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებსა და სხვადასხვა ეპოქაში , ე.ი. მას აქვს ორი მდგენელი , დროის და სოციუმის , მდგენელი "როდის" და მდგენელი "ვინ". აღსანიშნავია , რომ A დროს B სოციუმის ფსიქოლოგია არაა იგივე , რაც , ვთქვათ , იმავე A დროს C სოციუმისა ან D დროს იმავე B სოციუმისა. მაგრამ A-დან D-მდე დროისა და ფსიქოლოგიური ვითარების ცვლილებას აქვს გარკვეული კანონზომიერება. მიდის დრო , ვითარდება სოციუმი , ვითარდება მისი ფილოსოფია , ვითარდება ფსიქოლოგიაც... ეს კანონზომიერია. ნამდვილი განვითარება (პროგრესი ნამდვილი და არა ყალბი ან მოჩვენებითი) ხდება ნამდვილი და სწორი ფილოსოფიური იდეების გავლენით. სწორი ფილოსოფია და მისი შექმნა-განვითარება კი შრომატევადი პროცესია. გამოდის , რომ არც პროგრესის ეტაპების მიღწევაც ყოფილა მარტივი საქმე. ძალზე იშვიათია რომ ეს თავისთავადი პროცესი იყოს. უმეტესწილად ეს შეგნებული და რთული გზაა. და ამ გზაზე გასვლას ფსიქოლოგიური მზად ყოფნა სჭირდება...

მე.

როდესაც ფსიქოლოგიასა და ფილოსოფიას ვეხებით , აქვე სათქმელია , რომ ნებისმიერი სოციუმი შედგება პიროვნებათაგან. ყოველი პიროვნება არის ერთგვარი **"მე"**. ასე რომ , ფსიქოლოგიისა და ფილოსოფიის შესწავლა ამ მე-ს შესწავლით იწყება.

"მე" არის ადამიანი. მთელი რიგი პლუსებისა და მინუსების მქონე , ისეთი , როგორიც არის. და ფსიქოლოგიური თვითგაანალიზების მიზანი ისაა რომ ადამიანმა საკუთარი "მე" დაინახოს ადექვატურად. საკუთარი თავის შეცნობით იწყება გაცნობიერება იმისა , თუ სად აქვს ადამიანს ძლიერი და სუსტი მხარეები , სად აქვს პლუსები და სად - მინუსები. შემდეგი ნაბიჯი არის (სურვილის შემთხვევაში) უკეთესისკენ ცვლილება , ანუ ჩნდება კითხვები , როგორ გააძლიეროს სუსტი , როგორ გადააქციოს პლუსად მინუსი , იძებნება ამ შეკითხვებზე პასუხები. მაგრამ სად? ფილოსოფიაში! ფილოსოფია ხომ მორალს იძლევა და სწორად ამ მორალს ეყრდნობა სინდისი და პლუს-მინუსთა , კარგისა და ცუდის აღქმა. ეს არაა თანდაყოლილი , სინდისი - ეს შეძენილი უნარ-ჩვევაა , ჩვენი ფსიქიკის ნაწილია , რომელიც ფილოსოფიას და ზოგადად ფასეულობათა და ღირებულებათა სისტემას ეფუძნება.

ადამიანი არის სოციუმის ნაწილი. უფრო სწორად , ბევრი ადამიანი ეს უკვე სოციუმია. გამოდის , რომ ბევრი "მე" არის უკვე "ჩვენ" და ეს სიმრავლე არის ფსიქოლოგიურიც - ბევრი პიროვნული ფსიქოლოგიის ერთობლიობა და ურთიერთქმედება , ურთიერთგავლენა , ქმნის სოციუმის ფსიქოლოგიას. და ამ უკანასკნელს (ისევე როგორც ცალკე პიროვნულს) აქვს ორი უკვე ნახსენები მდგენელი - "ვინ" და "როდის".

არსებობს ადამიანის ბევრი სოციალური როლი: "მე როგორც შვილი" , "მე როგორც მოსწავლე" , "მე როგორც მშობელი" და სხვა , მაგრამ ყოველ ამ როლს აერთიანებს ერთი "მსახიობი" და ეს არის ადამიანი-პიროვნება ანუ "მე როგორც პიროვნება". ანუ გვაქვს "მსახიობი" , მისი როლები და , რაც არანაკლებადაა მნიშვნელოვანი , გვაქვს მიზანსცენაც. მიზანსცენა ამ შემთხვევაში არის ის მთლიანი ფონი , სადაც ხდება "მსახიობის" მიერ როლის შესრულება. და ამ შემთხვევაში ფილოსოფიის პასუხისმგებლობის სფეროა "მსახიობის" პიროვნული გაკეთილშობილება , როლის სცენარის სისწორე და ადექვატური რეჟისურა , მიზანსცენისა და დეკორაციების შესაფერისობა და შესაბამისობაში მოყვანა. ეს ყველაფერი უნდა ხდებოდეს ფსიქოლოგიის გათვალისწინებით. პირველ რიგში ხდება "მე"-ს შემეცნება. დგინდება პიროვნების

ფსიქოლოგია. მერე მსჯელობა როლებზე - ლოკალურ გამოვლინებებზე გადადის. ასე "მე" კარგად და ეფექტურად გამოამჟღავნებს პიროვნების დადებით მხარეებს ამა თუ იმ სიტუაციაში და ეს ყველაფერი აისახება პიროვნებისა და სოციუმის კეთილდღეობის მაჩვენებელზე.

ბუნება.

ადამიანი - ბუნების განუყოფელი ნაწილია. არის რა იგი ბიოლოგიური სახეობა , ადამიანი ექვემდებარება საყოველთაო ბუნებრივ კანონებს , არის ეკოსისტემის ნაწილი , წარმოადგენს ბიოლოგიურ , ცოცხალ ორგანიზმს. როგორც სხვა ბიოლოგიური სახეობები , ადამიანი ურთიერთქმედებს დანარჩენ ბუნებასთან , წარმოადგენს მასთან ერთად მთლიან , ერთიან "ორგანიზმს". ამ ურთიერთქმედებას ცოდნა აადვილებს , მაგალითად , ზოოფსიქოლოგია. ეს ფსიქოლოგიის თავისებური დარგია. ზოოფსიქოლოგიიდან გამომდინარეობს ზოოდიდაქტიკა , მისგან კი - ზოოპედაგოგიკა მოდის. ადამიანი უნდა უფრთხილდებოდეს ბუნებას , ამ მშვენიერ საგანძურს!

ბევრი საერთო და მსგავსი ასპექტი , მათ შორის ფსიქოლოგიურ-ქცევითიც , მოიპოვება ადამიანსა და , მაგალითად , მაიმუნს შორის და ეს შედარებითი მეთოდი ადამიანის ფსიქოლოგიისა და ქცევის ღრმა მიზეზ-შედეგებს და ასევე ზოგადად ადამიანის როგორც სახეობის მახასიათებლებს და მათ გამოვლინებებს უფრო ცხადს , გასაგებს ხდის.

ბუნება არის საერთო მიზანსცენა. ბუნება განაპირობებს ორგანიზმის ადაპტაციას , ბიოლოგიურ პროცესებს... ბუნება არის რეალობის განუყოფელი და შემადგენელი ნაწილი. შესაბამისად , რეალური და ადექვატური ფილოსოფია ასე თუ ისე ემყარება ბუნებას. გამოდის , რომ ფსიქოლოგიაც და ქცევაც გარკვეულწილად ბუნებიდან გამომდინარეობს. ამიტომაც ბუნების , ამ უზარმაზარი წყაროს , საგანძურის შესწავლა უფრო აუცილებელი ხდება. ბუნება და მასთან ურთიერთქმედება - ფილოსოფიური ანალიზის ნაწილია.

ბუნებას ზოგადად ბუნებისმეტყველება იკვლევს. საბუნებისმეტყველო რეალიზმი - საღი და ადექვატური ფილოსოფიური მიდგომაა ბუნებისა და მასში მიმდინარე პროცესების კვლევისა , მათი შესწავლისა და პროგნოზირების მიზნით , რაც ისევ და ისევ კეთილდღეობის მაჩვენებელზე დადებითად მოქმედებს. მეცნიერება იძლევა საშუალებას ბუნება გამოვიკვლიოთ , რაც რეალობას უფრო გასაგებსა და უსაფრთხოს ხდის , ვითარდება პროგრესიული ცოდნა და მისი პრაქტიკული , ყოველდღიური გამოყენება , უმჯობესდება ცხოვრების ხარისხი...

რაც უფრო დიდია და ვრცელი ცოდნა , რაც უფრო კარგად იცის ადამიანმა ბუნების კანონები და მოვლენები , რაც უფრო ღრმად ესმის მას ბუნების კანონზომიერებანი - მით უფრო ნაკლები ხდება ცრუ წარმოდგენები და მოვლენათა მცდარი ახსნები , მეცნიერული მიდგომა იმკვიდრებს საკუთარ კანონიერ ადგილს. ეს მეცნიერული რაციონალიზმის ფილოსოფიაა.

ისტორია გვასწავლის , იყო პერიოდი , როდესაც არ იყო ცნობილი , რომ დედამიწა არაა ბრტყელი , არც სხვა ფაქტების რიგი იყო ცნობილი... ასეთ ვითარებაში ადამიანი უცნობ მოვლენებსა და მის გარშემო მყოფ ბუნებას საკუთარი ცრუ წარმოდგენებისა და დამახინჯებულად სუბიექტური აღქმის პრიზმაში ხედავდა. მეცნიერული ანალიზი რაციონალურ თვალსაზრისებს გვთავაზობს და საშუალებას იძლევა ვნახოთ ბუნება ისეთი , როგორიც ის არის რეალურად. ეს რეალური დანახვა კი სწორ საბუნებისმეტყველო მსოფლმხედველობას გვივითარებს , რაც ასე თუ ისე აისახება ფილოსოფიაზე , ფილოსოფია კი ისევ ბიძგს იძლევა და ავითარებს მეცნიერებას. მეცნიერება და ფილოსოფია პირდაპირ კავშირშია ერთმანეთთან.

ბუნებისმეტყველება როგორც მეცნიერება ეფუძნება ფაქტებს , ცდილობს დაინახოს ჭეშმარიტება. ადამიანი კი ფსიქოლოგიურად უნდა მზად იყოს ნახოს და შეიმეცნოს ეს ჭეშმარიტება. იყო დრო , როდესაც კაცობრიობა ბევრი რაღაცისთვის არ იყო მზად. ასე ტრაგიკულად ბევრი მეცნიერი დაიღუპა კოცონის ცეცხლში. ამიტომაც ფილოსოფია და ფსიქოლოგია ეხმარება მეცნიერებას , ხოლო მეცნიერება ეხმარება ფილოსოფიასა და

ფსიქოლოგიას , ასეთ ურთიერთდახმარებასა და კომპლექსურ მიდგომაში ვითარდება სწორი და ადექვატური მსოფლმხედველობა , ფსიქოლოგიური მზად ყოფნის დონე მატულობს , მეცნიერებისა და პროგრესის პოზიციები ძლიერდება.

სამყარო.

სამყარო - ბუნებაზე უფრო დიდი ერთეულია. სამყარო ბუნებრივია , თუმცა ხელოვნური ობიექტებიც სამყაროს ნაწილია , ისინიც ქმნიან საერთო და მთლიან სურათს. სამყარო - ეს სივრცეცაა. ზოგი ამბობს რომ ის უსასრულოა. ზოგი კი ეწინააღმდეგება ამ აზრს. საქმე იმაშია , რომ ჯერ არნახული ბოლო სულაც არ ნიშნავს მის არ არსებობას. იქნებ უბრალოდ ვერ მივაღწიეთ და არ გვინახავს სამყაროს სივრცის ბოლო? რაღაცის არ დანახვა არ ნიშნავს მის არ არსებობას.

საინტერესოა "ჯამური" სამყარო. ეს არის უშუალოდ გარე სამყაროსა და ადამიანთა შინაგან სამყაროთა ჯამი , გაერთიანებული მთლიანობა. ადამიანი , შეადგენს რა სამყაროს განუყოფელ ნაწილს , იმყოფება მასთან ურთიერთქმედებაში , შეადგენს ერთიან ჯამურ ერთეულს.

სამყაროსა და მისი კანონზომიერებების შესწავლა და სწორი , რაციონალური და ადექვატური გამოყენება - ფილოსოფიისა და სხვა მეცნიერებების საქმეა. პროგრესის ეტაპების მიღწევა სამყაროს შემეცნებით იწყება. ძირითადი (ზოგადად და არა მხოლოდ საბუნებისმეტყველო სფეროს) მეცნიერებები შემდეგია: ლოგიკა , ფილოსოფია , ფსიქოლოგია , დიდაქტიკა , პედაგოგიკა , მათემატიკა , ფიზიკა , ქიმია , ბიოლოგია , მედიცინა. დანარჩენი მეცნიერებები მათგან გამომდინარეობს , მათ კერძო და პრაქტიკულ და გამოყენებით გამოვლინებასა და ვიწრო , ფოკუსირებულ სპეციალიზაციას წარმოადგენენ. საღი ლოგიკა , მათემატიკა , ფიზიკა , ქიმია , ბიოლოგია და მედიცინა საკმარისია ბუნების შესასწავლად , მთავარია სათანადო ცოდნა და ამ ცოდნის სწორი გამოყენება.

რაც უფრო დიდია და ფართო ცნობიერება , როგორც ცალკეული ადამიანების , ისევე მთლიანი სოციუმისა - მით უფრო საალბათო და მოსალოდნელი ხდება ადექვატური აზროვნებისა და ამ აზროვნებით გამოწვეული პროგრესის გაჩენა-განვითარება სოციუმში , რაც დადებითად აისახება მთლიან საზოგადოებაზე , ბუნებაზე , სამყაროზე , მთელ რეალობაზე… ადამიანმა უნდა კარგად გააცნობიეროს საკუთარი ადგილი სამყაროს დახვეწილ სისტემაში , შეიმეცნოს საკუთარი თავი , გარშემო მყოფი ობიექტები შეისწავლოს… სწორად ამ შესწავლით იწყება სწორ ფილოსოფიაზე აგებული მეცნიერული მიდგომა , რასაც პროგრესსა და განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი აქვს და საპატიო ადგილი უკავია.

სამყარო მიზეზ-შედეგობრივად მოქმედებს. თუ A იწვევს B-ს , მაშინ A არის მიზეზი , ხოლო B - მისი შედეგია. მიზეზ-შედეგობრივი კონცეფცია და მისი სწორი გააზრება ასევე ერთგვარ ფსიქოლოგიურ მზად ყოფნაზე მიგვანიშნებს. მიმდევრულად (მიზეზ-შედეგობრივად) მოაზროვნე ადამიანს მეტი შანსი აქვს წაიყვანოს პროგრესი სწორი მიმართულებით. თუნდაც იმიტომ , რომ პროგრესი - თვითონ არის მიმდევრობა: A იწვევს B-ს , B იწვევს C-ს , C - D-ს და ა.შ. ხოლო მიმდევრობათა სწორი დახასიათება , პლუსებსა და მინუსებზე მსჯელობა ძალიან რთული ხდება (ან საერთოდ შეუძლებელი) თუ ადამიანი ვერ აზროვნებს მიზეზ-შედეგობრივად. გამოდის , რომ სწორ ფილოსოფიას ასევე პრედიკატივიზმი (მიზეზ-შედეგობრივობა) ახასიათებს.

ჩვენ ვარსებობთ სამყაროში. ის - ჩვენი საერთო სახლია. წარმოიდგინეთ ერთი წუთით , რა იქნებოდა , თუ ჩვენს ბინაში ვერ ვიპოვიდით ოთახებს , საძინებლის ნაცვლად სამზარეულოს აღმოვაჩენდით , ხოლო აბაზანას საერთოდ ვერ ვიპოვიდით?.. ჩვენ ვიცით რა სად არის ჩვენს სახლში და შეგვიძლია ნორმალურად ვიარსებოთ ჩვენი სახლის კედლებში. იგივე სათქმელია ჩვენს საერთო სახლზე - სამყაროზე. მისი შეცნობა და მის შესახებ ცოდნის დაგროვება მასში არსებობას უფრო კომფორტულსა და უფრო ნორმალურს ხდის.

შინაგანი სამყარო.

ადამიანის ფსიქოლოგია საკმაოდ რთულია. წლებია საჭირო რომ სიღრმისეულად შეისწავლო. მაგრამ ზოგადი სახით მაინც , მთავარ მამოძრავებელ პრინციპთა დონეზე თუნდაც , არც თუ ისე რთული წარმოსადგენია სქემატური ჩანახატის სიზუსტით.

შინაგანი სამყარო - ეს ადამიანის აზროვნების , ფსიქოლოგიის , ქცევის მოდელების , სინდისის , მორალის , ფასეულობათა და ღირებულებათა მრავალკომპონენტიანი და საკმაოდ რთული კომპლექსია , რომელიც , რა თქმა უნდა , თანდაყოლილი არაა.

შინაგანი სამყარო განვითარებადი ერთეულია , ის ბევრი ფაქტორის გავლენით იქმნება და რიგ შემთხვევებში გარდაქმნებსაც განიცდის. ცხადია , რომ შინაგანი სამყაროს ფორმირება-გარდაქმნის პროცესში დიდი როლი აქვს ფილოსოფიას.

აზროვნება როგორც გონის მუშაობის პროცესი და მისი მიმართულება , დამახასიათებელი სტილი , ყალიბდება ფილოსოფიურ მიმართულებასთან მჭიდრო ურთიერთქმედებაში. მაგალითად , ცრუ წარმოდგენებში ჩაფლული ადამიანის აზროვნება გამომდინარეობს მისი ასეთივე მცდარი ფილოსოფიიდან , ის ფიქრობს რომ ეს ცრუ წარმოდგენა - ჭეშმარიტია , ასე ჰგონია და სჯერა საკუთარი "ჭეშმარიტების" და ამას ის ვერც შეცვლის , სანამ არ გადახედავს საკუთარ ფილოსოფიას კარგად და სანამ არ აღიარებს , რომ ფილოსოფია მისი მცდარი ყოფილა.

ქცევის მოდელებიც , აზროვნების მსგავსად , ასე თუ ისე ფილოსოფიიდან მოდის. აზროვნება ტვინშია ხოლო ქცევა - ვლინდება გარეთ. და ქცევაზე დაყრდნობით შესაძლებელია ამა თუ იმ , თუმცა არაასპროცენტული სიზუსტით , ვიმსჯელოთ ადამიანის ფილოსოფიის შესახებ.

სინდისი - სულაც არაა შინაგანი მორალი. ეს ჩვეულებრივი ჩვენი ფსიქოლოგიური რეაქციაა იმაზე , თუ რას გვეუბნება ჩვენი ფილოსოფია ან უბრალოდ ადამიანური ნორმალური აზროვნება ამა თუ იმ ფაქტსა თუ ინციდენტზე. ამიტომაც ყველას ერთსა და იმავე ინციდენტზე კი არ აწუხებს სინდისი. სწორი ფილოსოფიაა - სინდისიც სწორადაა მოქმედი.

ზნეობრივ-ქცევითი ნორმები კი ქმნიან მორალს. ის , სინდისის მსგავსად , ასევე ეფუძნება ფილოსოფიას. მორალი არის შეძენილი.

ფასეულობები და ღირებულებანი - ეს ის ერთეულებია , რისგანაც მორალი შედგება და რასაც ემყარება ის.

ამ ფაქტორთა ერთობლიობა ჯამში ქმნის შინაგან სამყაროს. კეთილდღეობის მაჩვენებელზე დადებითად მოქმედი შინაგანი სამყარო - მდიდარია. შესაბამისად არსებობს ადამიანები , ვისზეც ითქმის "მას მდიდარი შინაგანი სამყარო აქვს".

საკუთარი თავის შეცნობა საკუთარი შინაგანი სამყაროს შეცნობასაც გულისხმობს. რა და რატომ არის თქვენთვის ფასეული? რას ეფუძნება თქვენი ფილოსოფია? რამდენად კარგად აცნობიერებთ თქვენი ფილოსოფიის შინაარსს? ასეთი და მსგავსი კითხვები და მათზე პასუხების ძებნა ეხმარება შინაგანი სამყაროს მკვლევარს მის სიღრმეებში ჩაწვდეს.

გარე სამყარო.

ადამიანს აქვს შინაგანი სამყარო. მაგრამ არსებობს ადამიანი გარე სამყაროში. ის ურთიერთქმედებასა და მუდმივ ურთიერთობაში იმყოფება გარე სამყაროსთან , წარმოადგენს რა მის განუყოფელ ნაწილს.

გარე სამყარო ჩვენს შინაგან სამყაროზე გავლენას ახდენს , მაგრამ ამავდროულად ჩვენ ჩვენი ცხოვრებისეული პოზიციებით (შინაგანი სამყაროს გამოვლინებაა) გავლენას ვახდენთ გარე სამყაროზე. ასე ეტაპობრივად იცვლება სამყარო , იცვლება მიზანსცენაც და "მსახიობიც"

დროის განმავლობაში. ამით აიხსნება ეპოქების მოსვლა , მაგალითად რენესანსის ეპოქის მოსვლა. ის არსაიდან კი არ მოსულა , არამედ კანონზომიერად და ნაბიჯ-ნაბიჯ დადგა , როდესაც ადამიანთა ფსიქოლოგია გახდა ამისთვის მზად , როცა ადამიანის (და მთლიანად სოციუმის) ფილოსოფია მიაღწია შესაბამის დონეს , როდესაც რენესანსი გახდა შესაძლებელი. აქვე სათქმელია , რომ არსებობს პირადი რენესანსიც. ადამიანი ფსიქოლოგიურად უნდა მომწიფდეს რომ განიცადოს შინაგანი რენესანსი.

გარე სამყარო - უზარმაზარი კვლევის ობიექტია , ინფორმაციის წყაროა! ის ისაა , რისიც არ უნდა გვეშინოდეს , არამედ უნდა შევიცნოთ და მივაღწიოთ კეთილდღეობას. ეს კი შესაძლებელი ხდება მაშინ , როდესაც ადამიანი ფსიქოლოგიურად მომწიფდება იმისთვის , რომ უყუროს სამყაროს ისეთს , როგორიც ის არის რეალურად და არა ისეთს , როგორიც ის წარდგება მკვლევარის ცრუ წარმოდგენებით გაბინდულ გონებაში. გარე სამყაროს შესახებ ინფორმაციის სწორ მიღება-ათვისებას ხელს უშლის სხვადასხვა ფაქტორი , ცრუ წარმოდგენები , კოგნიტიური მიკერძოებები... მაგრამ გარე სამყაროს შეცნობა სულაც არაა შეუძლებელი , ამას ცდილობენ და გარკვეულწილად ახორციელებენ მეცნიერები , წარმოადგენენ რა ისინი პროგრესის მამოძრავებლებს , ისინი არიან პროგრესის ავანგარდი და წინა ფლანგი.

მაგრამ სულაც არაა აუცილებელი ადამიანი მეცნიერი იყოს , რომ შეძლოს პროგრესის მიღწევა. ნებისმიერ ჩვენგანს შეუძლია იყოს ადექვატურად პროგრესიული , მთავარია საღად ვიაზროვნოთ. ამას კი ცოდნა სჭირდება. ცოდნის წყარო კი - თავად სამყაროა , ეს ვეებერთელა ცოდნის მარაგი და ინფორმაციის ფართო შემცველი. მთავარია მიიღოს ადამიანმა ეს ინფორმაცია , შეძლოს ნახოს ის რაც ჯერ არავის უნახავს. ასე ხდება , მაგალითად , ფიზიკის კანონების აღმოჩენა. ისინი ბუნებაში ისედაც იყვნენ , მაგრამ საჭირო იყო მათი აღმოჩენა , შემდგომი მათი შესწავლა , კვლევა... ასე მოხდა დიდი წინსვლა , ამ კანონებზე დაყრდნობით ბევრი გამოგონება შეიქმნა , წინ წავიდა პროგრესი , რაც აისახა ჩვენს ყოველდღიურობაზეც. ანუ მეცნიერება და ფილოსოფია ბევრად უფრო ახლოს ყოფილა ყოველდღიურ ცხოვრებასთან , ვიდრე ზოგს , შეიძლება , ჰგონია...

<u>რეალობა.</u>

რეალობა ისაა , რაც არსებობს რეალურად. ეს ფრაზა თითქოს თავისთავად გასაგები იყოს , მაგრამ მაინც საჭიროა განვიხილოთ ეს დებულება. რეალობა არის , არსებობს , განურჩევლად იმისა თუ აწყობს ეს ვინმეს თუ არა , ვიცით თუ არა ჩვენ მის შესახებ... მაგრამ რომ ადექვატურად ვიარსებოთ რეალობაში - უნდა ვიცოდეთ რეალური ინფორმაცია მის შესახებ. შემეცნება - ისაა , რითაც იწყება უსაფრთხო არსებობა რეალობაში.

რეალობა კანონზომიერად არსებობს. ეს კანონზომიერება მიზეზ-შედეგობრივია , მიმდევრულია და ცვალებადსიჩქარიანი.

რეალობა მეცნიერებებით შეიცნობა. თუ "მეცნიერება" არ ეფუძნება რეალობას - ის არც ყოფილა მეცნიერება.

რეალობა ძალიან მრავალფეროვანია. ის , ვინც იკვლევს რეალობას მრავალი კუთხით - მრავალმხრივ განვითარებული პიროვნებაა. ის , რომ რეალობა შეცნობადია , მეცნიერებს იმედს ანიჭებს და მათ შეუძლიათ აქტიურად იკვლევდნენ რეალობას. ის , რაც რეალობას არ მიეკუთვნება (არაა რეალური) - ის არ არსებობს. შესაბამისად , ის , რაც არსებობს სინამდვილეში - ის რეალურია.

ნამდვილი ფილოსოფია რეალობას მიეკუთვნება და არის რეალური. ნამდვილი ფილოსოფია შეისწავლის რეალობას და ეფუძნება მას. ცოდნა ეხმარება ადამიანს შეიმეცნოს რეალობა. გამოდის , რომ ცოდნა სწორ ფილოსოფიას კარს უღებს. ამასობაში უფრო ნათელი და ცხადი ხდება მეცნიერების დარგების მნიშვნელობა არა მარტო ვიწრო წრეში , არამედ ფართო

ყოველდღიურობაშიც. მეცნიერება მეცნიერულ მიდგომას ცნობს. მეცნიერული მიდგომა კვლევისა და შესწავლის მეთოდებს მოისაზრებს. კვლევისა და შესწავლის მეთოდებში შედის:

- დაკვირვება.
- ექსპერიმენტი.
- მონაცემთა შეგროვება და გაანალიზება.
- ინდუქცია.
- დედუქცია.
- მოდელირება.
- ექსტრაპოლაცია.
- დაშვების შეყვანა დამტკიცებულ თეორიაში და ამ დაშვების დამტკიცება.
- "ვარგისი" თეორიის შემუშავება და მისი დამტკიცება.
- შესაძლოა , სხვა მეთოდებიც...

რეალობა ცვალებადია , რადგანაც ცვალებადია მისი შემადგენელი ერთეულებიც , განიცდიან რა ისინი გარდაქმნებს ამა თუ იმ მიზეზის გამო... ეს მიზეზები ანთროპოგენულიც შეიძლება იყოს. გამოდის , რომ ჩვენ შეგვუძლია რეალობა შევცვალოთ! და ფილოსოფიის (სხვა მეცნიერებებთან ერთად) საქმეა აუხსნას კაცობრიობას:

- რამდენად დიდია ცვლილებათა ანთროპოგენული მიზეზების წილი მიზეზთა საერთო ჯამიდან?
- რა მიმართულებით უნდა მოხდეს ცვლილებები?
- რა მეთოდებით უნდა მოხდეს ცვლილებები?

რეალობის შეცნობა-შეცვლაში დიდი ადგილი უკავია ლოგიკას და მას მართლაც საგრძნობი როლი აქვს.

<u>ლოგიკა.</u>

რეალობა ლოგიკურადაა აწყობილი. რეალობის ცვლილება ლოგიკურ კანონებს ექვემდებარება. ლოგიკის კანონები - ეს ის ძირეული და ფუნდამენტური პრინციპებია , რომელთა შესწავლა თუნდაც ელემენტარულ დონეზე აუცილებელია ასე თუ ისე დალაგებული და მეტ-ნაკლებად ადექვატური აზროვნებისთვის. თუმცა ლოგიკა მხოლოდ ელემენტარული დონის ცოდნით არ შემოიფარგლება. რაც უფრო ლოგიკურად აზროვნებს ადამიანი - მით უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს მას სწორად შეისწავლოს და სწორი მიმართულებითა და დასაშვები მეთოდებით დაგეგმოს რეალობის ცვლილებანი. ლოგიკა - საკმაოდ ზუსტი მეცნიერებაა. ლოგიკის კვლევის ობიექტი - თავად რეალობაა და სამყარო.

ლოგიკური ჯაჭვები - სამყაროს მიზეზ-შედეგობრივობის მოდელიცაა და საფუძველიც.

სწორი ფილოსოფია ადექვატურია. ადექვატურობა კი ლოგიკასთან შეთანხმებულს ნიშნავს. გამოდის , რომ სწორი ფილოსოფია - ლოგიკის კანონებს ეფუძნება.

ლოგიკა - სწორი აზროვნების შესახებ მეცნიერებაა. ლოგიკურ-ფილოსოფიური რეალისტური მიდგომები ხელს უწყობს სამყაროს სწორ შეცნობას.

რადგანაც ფილოსოფია ლოგიკას ეფუძნება , ხოლო ქცევა - ეფუძნება ფილოსოფიას , მაშინ ქცევა ეფუძნება ლოგიკას. სწორი ქცევა სწორი ლოგიკიდან გამომდინარეობს. თუ ადამიანს სწორ ლოგიკას სწორი მეთოდებით შევასწავლით - მეტი იქნება მისი სწორი ქცევის ალბათობა , მეტიც იქნება საყოველთაო და პირადი რენესანსის მიღწევის ალბათობაც. მაგრამ რა არის ეს "სწორი მეთოდები" და "სწორი ლოგიკა"? ამაზე პასუხები პირდაპირ და უშუალოდ რეალობაშია. ადექვატური ფილოსოფიისა და საღი , გამართული ლოგიკის შესწავლა იძლევა ამ ყველაფერზე პასუხს.

ლოგიკურად მუშაობს ადამიანის ტვინიც. ცნობიერება საკმაოდ ლოგიკური სისტემაა. კარგია , როცა ცნობიერებაში მონაცემები დალაგებულია და ლოგიკის პრინციპებით "ყოველი მონაცემი თავის ადგილზე დევს". კარგია ინფორმაციის გააზრება და არა გაუაზრებელი დაზეპირება.

ლოგიკა გვეხმარება მონაცემთა გრძელი და ჩახლართული მიმდევრობების შესწავლა-გააზრებას. ამ კუთხით ლოგიკური მსჯელობა დეტექტივის საქმიანობას წააგავს , ხოლო სამყარო სავსეა ასეთი დეტექტიური გამოცანებით.

ლოგიკა საფუძვლად უდევს შემეცნებას როგორც კომპლექსურ მიდგომას. გაანალიზება როგორც ასეთი შეუძლებელია ლოგიკური აპარატის გარეშე. გაანალიზების გარეშე კი შეუძლებელია ძალიან ბევრი რამ...

<u>დიდაქტიკა.</u>

ცოდნა - დიდი ძალაა და უამრავი შესაძლებლობა! მაგრამ ცოდნის შეძენასთან ერთად , საჭიროა ვიცოდეთ , რომ მისი გადაცემაც არის აუცილებელი. ცოდნა უნდა გადაეცეს ახალ თაობას , არ "წავიდეს" ძველი თაობის წასვლასთან ერთად. ცოდნა არ უნდა გაქრეს. პროფესიული , ყოველდღიური თუ სხვა ტიპის , არსებობს ასპექტები , რომელთა თვითონ , დამოუკიდებლად შესწავლა ძალზე რთულია (საერთოდ თუა შესაძლებელი) და ეს ცალსახად ადასტურებს ცოდნის გადაცემის ოსტატობის შემუშავებას , რათა სწორი ცოდნა სწორი მეთოდებით გადაცემული იყოს. აქ კი არის ორი ძირითადი კითხვა:

- რა ვასწავლოთ?
- როგორ ვასწავლოთ?

ეს არის დიდაქტიკის ორი ამოცანა.

მარტივად რომ ვთქვათ , დიდაქტიკა - მეცნიერებაა ცოდნის გადაცემის შესახებ. ის პირდაპირ კავშირშია ფილოსოფიასთან , ფსიქოლოგიასთან , ლოგიკასთან , რადგანაც იკვებება ამ მეცნიერებათა იდეებით.

რა ვასწავლოთ? შესასწავლი ვარირებს დარგიდან დარგამდე , სფეროდან სფერომდე , სიტუაციიდან სიტუაციამდე , თუმცა აღსანიშნავია ის ეჭვგარეშე ფაქტი , რომ შესასწავლია აუცილებელი და საჭირო ინფორმაცია ცოდნა , უნარ-ჩვევები , პრაქტიკული თუ თეორიული ცოდნა , მაგრამ ასევე ძალზე მნიშვნელოვანია ლოგიკური აზროვნების , ინფორმაციის სწორი და ადექვატური აღქმისა და გაფილტვრის , მიღებული ცოდნის ანალიზის , კერძოსა და ზოგადის გარჩევისა და ურთიერთქმედების , სისწორეზე შემოწმების , კეთილდღეობის მაჩვენებლის გაზრდის მეთოდების შესახებ ინფორმაციისა და ცოდნის გადაცემა! ამასთან ერთად აუცილებლად შესასწავლია სიტუაციური ადაპტაცია , მოქნილი აზროვნება და ქცევა , დინამიურობა , სოციალიზაცია , "ზრდასრულობა". ასევე შესასწავლია ემოციური ინტელექტის ასპექტებიც. და ზოგადად ნუ გგონიათ რომ "ის ისედაც თვითონ ისწავლის და მიხვდება ყველაფერს". ეს არაა ასეთი მარტივი და თავისთავადი პროცესი. დამოუკიდებლად სრულყოფილად ნასწავლი პიროვნება , თუ საერთოდ არსებობს ასეთი - მაინც გამონაკლისია და არა რიგითი შემთხვევა. დაუთმეთ დრო არა მხოლოდ თეორიას , არამედ პრაქტიკასაც. გაითვალისწინეთ აღსაზრდელის სურვილი და ინტერესები.

როგორ ვასწავლოთ? ისე , რომ ჩვენს მიერ გაზიარებული ინფორმაცია სწორად გაგებული იყოს , სწორად და , რაც მნიშვნელოვანია , გააზრებულად გაგებული იყოს: ახსნა , განმარტება , ნაბიჯ-ნაბიჯ შესწავლა - დიდაქტიკური მეთოდებია.

სწავლება ადვილი საქმე არაა. არც სწავლაა ადვილი. აზროვნების და არა გაუაზრებელი დაზეპირების სწავლება არის ის რაც საჭიროა. სამწუხაროდ , ყველას ეს არ ესმის ამის საჭიროება. მოაზროვნე და დიდაქტიკურად აღზრდილ ადამიანს მეტი შანსი აქვს რენესანსი განიცადოს , გაზარდოს პირადი და საყოველთაო კეთილდღეობის მაჩვენებელი , თანაც გააზრება - სწავლის ბუნებრივი მეთოდია ხოლო გაუაზრებელი დაზეპირება - არა. ასევე ,

გააზრების გარეშე აღსაზრდელი სწავლობს გამეორებას იმისა , ხედავს აღმზრდელისგან , პლუს ამას ის სწავლობს დამორჩილებას , კარნახით მოქმედებას , ხოლო გააზრებული სწავლა აზროვნებას ასწავლის. ასევე კარგია მაგალითური სწავლება. გახსოვდეთ , აღსაზრდელი ხედავს არა მხოლოდ კარგ მაგალითს , არამედ ცუდსაც. თუ ბავშვი , მაგალითად , "ცუდად" იქცევა - დაფიქრდით. იქნებ თქვენ ხართ ამ "ცუდი" ქცევის იდეური წყარო?.. იგივე შეიძლება ითქვას აღსაზრდელის ფსიქო-ემოციურ ფონზე , განცდებსა და შიშზე , რეალობის აღქმაზე. კარგიც და ცუდიც , იქნებ აღმზრდელი არის აღსაზრდელისთვის ამ ყველაფრის იდეური წყარო? ეს ხშირად ასე ხდება , იყავით ფრთხილად...

დიდაქტიკა - პედაგოგიკის , აღზრდის , სწავლების , ახსნის , ცოდნისა და უნარ-ჩვევების გადაცემის საფუძველია. თავად დიდაქტიკის საფუძველი და იდეათა წყარო - ფილოსოფიაა. სწორი ფილოსოფიიდან სწორი დიდაქტიკა გამომდინარეობს.

<u>პედაგოგიკა.</u>

პედაგოგიკა - სწავლების ოსტატობაა , ცოდნისა და უნარ-ჩვევების გადაცემის ნატიფი ხელოვნება , დიდი შრომაა და დიდაქტიკის პრაქტიკული რეალუზაცია.

პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი , რომ პედაგოგიკა სულაც არაა მხოლოდ სკოლის მასწავლებლობა. პედაგოგიკა ბევრად უფრო ფართე ცნებაა , მისი მეთოდები და მიდგომები ზოგადად ყოველდღიურ სწავლებაშიც გამოიყენება. მნიშვნელოვანია პედაგოგიკის მეთოდებისა და მიდგომების როლი აღზრდაშიც. პედაგოგიკა ბევრს სფეროში გამოიყენება.

პედაგოგიკა ეფუძვნება დიდაქტიკას. ის კი თავისი მხრიდან იკვებება ფილოსოფიის იდეებით. გამოდის , რომ პედაგოგს ფილოსოფიური ცოდნაც სჭირდება რომ კარგად გაერკვეს ამ არაადვილ საქმეში. სწორი და დალაგებული ფილოსოფია პასუხს იძლევა , თუ როგორი უნდა იყოს პედაგოგიური მეთოდები და მიდგომები.

დიდაქტიკა - ასე თუ ისე თეორიაა. პედაგოგიკა კი - პრაქტიკაა. სწორი პედაგოგიური მეთოდი ისეთია , რომელიც სწორად ახორციელებს დიდაქტიკის მიერ შემუშავებულ პრინციპებს , ხოლო რომლებია ეს პრინციპები - ჩვენ უკვე შეგვიქმნა წარმოდგენა , როდესაც დიდაქტიკასა და მის ამოცანებს ვიხილავდით.

პედაგოგიკის ერთ-ერთი მიდგომაა ურთიერთნდობა და ურთიერთპატივისცემა "პედაგოგსა" და "მოსწავლეს" შორის (იმის გათვალისწინებით რომ პედაგოგი და მოსწავლე მხოლოდ სასკოლო ტერმინები არაა არამედ ზოგად სოციალურ როლებად არის მოყვანილი , შეიძლება სასკოლოც იყოს და შეიძლება - არა).

"მე ვიცი A" და "მე შემიძლია სწორად და გასაგებად ავუხსნა A სხვას" - ორი სხვადასხვა რამ არის. პედაგოგს უნდა ერთიც შეეძლოს და მეორეც.

პედაგოგიკა , წარმოადგენს რა უშუალოდ პრაქტიკულ და კონკრეტულ მიმართულებას , ითვალისწინებს მოსწავლის განსაკუთრებულობას , მის გამორჩეულობას , ჩვენ ხომ იმდენად განსხვავებული ხასიათისა და იმდენად სხვადასხვა შინაგანი სამყაროს მქონე ვართ. პედაგოგიკა - მოსწავლეთა მიმართ ერთგვარი ყურადღებაა.

პედაგოგიკა ლოგიკურია , მიმდევრული და სისტემატიზირებულია , რეალობას ეფუძნება , ადექვატურობის ნიადაგზე დგას. პედაგოგის ტვინში ლოგიკურად დალაგებული და სწორად წარმოთქმული აზრები მოსწავლის ტვინის მიერ უფრო ადვილად აღიქმება , რადგანაც ტვინი ზოგადად ლოგიკურად მუშაობს - ეს მისი ბუნებრივი რეჟიმია.

სწორად ლოგიკა და ფილოსოფია , მოსწავლეზე მორგებულ გასაგებ დონეზე და შერჩეულ სტილსა და მაგალითებზე ახსნილი , არის ის , რითაც იწყება რეალობის შემეცნების გზაზე მოსწავლის დაყენება. ასე მოსწავლე შინაგან რენესანსსაც უახლოვდება. გამოდის , რომ პედაგოგიკა - ძალზე მნიშვნელოვანი რამ ყოფილა.

პედაგოგები და მოსწავლეები ერთგვარ ჯაჭვს ქმნიან. მოსწავლეს ხომ შეუძლია სხვას აუხსნას ის , რაც უკვე იცის თვითონ , გახდეს ვიღაცისთვის მასწავლებელი. ასე ერთი მეორეს უხსნის , ეს მეორე - მესამეს , ეს მესამე კი - მეოთხეს და ა.შ. მყარდება ცოდნის გადაცემის ჯაჭვი. ცოდნის საყოველთაო და ფართო გავრცელება ამ ჯაჭვს განტოტვილსა და უფრო მტკიცეს ხდის , რაც ცოდნის უფრო ეფექტურ შენახვა-გადაცემას უზრუნველყოფს. თუ ცოდნის გადაცემა შეწყდება - მაშინ ცოდნის ზოგი ასპექტი , შესაძლოა , დაიკარგება სამუდამოდ. ეს კიდევ უფრო ზრდის პედაგოგიკის მნიშვნელობას და ხაზს უსვამს იმ ისედაც ცხად ფაქტს , რომ მომავალზე საღი დაფიქრება არის აუცილებელი. ჩვენი მომავალი ხომ ჩვენს ხელშია!

<u>ისევ და ისევ ლოგიკა.</u>

ჩვენ კვლავ ვუბრუნდებით ლოგიკის საკითხს. ლოგიკას ძალიან ფართო და მრავალმხრივი მნიშვნელობა და გამოყენება აქვს.

ლოგიკა რაოდენობრივი (რიცხობრივი) კანონზომიერებების სახითაც ვლინდება. მათემატიკა არის ლოგიკის შვილი. სამყარო რიცხობრივად და რაოდენობრივად ზუსტად არის აწყობილი , ანათვალთა და გაზომვათა , ფიზიკურ სიდიდეთა და მათ ურთიერთქმედებათა კანონზომიერებანი პირდაპირ ლოგიკის კანონებისა და ლოგიკური კანონზომიერებებიდან გამომდინარეობს. ლოგიკა საფუძვლად უდევს სივრცეს , დროს , მატერიას... ლოგიკის კანონებს აქვთ ფუნდამენტური ხასიათი სამყაროს აღნაგობა-აგებულებისთვის. ლოგიკა რეალობიდან გამომდინარეობს და თვით რეალობა არის ლოგიკურად აწყობილი. ამიტომაც ლოგიკა წარმოადგენს სამყაროს შეცნობის გასაღებს. არასწორმა ლოგიკამ არასწორ შედეგამდე მიყვანა იცის.

ლოგიკა ასევე სხვა მეცნიერებების ერთგვარ ჩონჩხს წარმოადგენს , ხოლო რეალობა არის მეცნიერებათა ჩარჩოები , ფარგლები. ამ ფარგლებში არსებობს რეალობა და , მაშასადამე , შეუძლია იქ იარსებოს მეცნიერებას.

ლოგიკის მიზეზ-შედეგობრივობა რეალობის "ევოლუციის" მიმართულებას გვიჩვენებს. რადგანაც ადამიანს შეუძლია ქნას რაიმე A და ამ A-ს , დავუშვათ , შეუძლია მოჰყვეს შედეგი B , მაშინ გამოდის , რომ ადამიანს შეუძლია ჩაერთოს მიზეზ-შედეგობრივ ჯაჭვში (და ის ისედაც ჩართულია ამაში არსებობისა და ქმედებებიდან გამომდინარე) , ხოლო რადგანაც ის ჩართულია ამ ჯაჭვში - გამოდის , რომ ის რეალობის "ევოლუციაში" მონაწილეობას იღებს. და ჩვენ უნდა რეალობის სწორი , კეთილდღეობის მომტანი "ევოლუცია" განვახორციელოთ. ამისთვის კი სწორი ფილოსოფია გვჭირდება. ბედი და ბედისწერა არ არსებობს , არსებობს მიზეზ-შედეგები. და თუნდაც ამის გასაცნობიერებლად ადამიანს სჭირდება ფსიქოლოგიური მზაობა და სწორი ფილოსოფიის სტილში აზროვნება. ამ ყველაფერს კი სჭირდება რეალობის კვლევა , შემეცნება , გააზრება , გაცნობიერება სწორი ფილოსოფიის აუცილებლობისა...

ლოგიკა აზროვნებას ალაგებს. ლოგიკურად მოაზროვნე ადამიანს უფრო ეადვილება სამყაროს , რეალობის პრინციპებისა და კანონზომიერებების ასპექტებში ჩაწვდეს , ჩაღრმავდეს ამ მიმდევრულ სისტემას , ნახოს მისი "ევოლუციის" პრინციპები.

ლოგიკის კანონების ცოდნა აუცილებელია. მაგალითად:

- **თუ:** B არსებობს <u>მაშინ და მხოლოდ მაშინ</u> , როდესაც არსებობს A , **მაშინ:** A არ არსებობს <u>მაშინ და მხოლოდ მაშინ</u> , როდესაც არ არსებობს B.

ამ შემთხვევაში A არის B-ს <u>ერთადერთი</u> მიზეზი , ხოლო B არის A-ს <u>აუცილებელი</u> და <u>ერთადერთი</u> შედეგი.

მიზეზთა და შედეგთა კლასიფიკაცია და ტიპები ასეთია: მიზეზი შეიძლება იყოს ერთადერთი ან ბევრი , შედეგი შეიძლება იყოს აუცილებელი ან არააუცილებელი. შესაბამისად არსებობს შედეგის პროცენტული ალბათობა კონკრეტული მიზეზის არსებობის დროს. ერთ მიზეზს რამოდენიმე (სინქრონული ან მიმდევრული) შედეგი შეიძლება ჰქონდეს , ხოლო ერთი შედეგის მისაღწევად შეიძლება რამოდენიმე მიზეზის ერთდროული (სინქრონული) ან მიმდევრულად ურთიერთმოქმედი არსებობა დასჭირდეს , ასევე რამოდენიმე (სინქრონულ ან მიმდევრულად ურთიერთმოქმედ) მიზეზს შეიძლება რამოდენიმე (სინქრონული ან მიმდევრული) შედეგი ჰქონდეს. მიზეზ-შედეგობრივი კავშირები დროის ფაქტორითაც განსხვავდება , დროის ფაქტორი - ის დროა , რომელიც საჭიროა კონკრეტული მიზეზის არსებობისას კონკრეტული შედეგის მისაღწევად.

მათემატიკა.

ლოგიკას ეფუძნება ე.წ. მათემატიკური აპარატი - მათემატიკის გამოთვლითი შესაძლებლობა. მათემატიკურად აწყობილია სამყარო , რაოდენობრივად და რიცხობრივად თანაფარდობაში შედის ერთმანეთთან ანათვალები , გაზომვები , რიცხვითი სიდიდეები... ამიტომაც მათემატიკა - მეცნიერებათა დედოფალია. მაგრამ ეს დედოფალი არის ასევე მსახურიც. დიახ , მათემატიკა - მეცნიერებათა მსახურიცაა , გამოიყენება რა ის სხვადასხვა დარგისა თუ მეცნიერების თეორიულ , პრაქტიკულ და გამოყენებით გამოანგარიშებებში. მათემატიკა ამ მეცნიერებებს ემსახურება.

მათემატიკა ასევე მოდელირების მათემატიკური მეთოდის საფუძველიცაა. მოდელირება კი , როგორც ვიცით , მეცნიერული კვლევის მეთოდია. მათემატიკური მოდელირება და სისტემათა მათემატიკური (რიცხვები , ფორმულები , გრაფიკი) გამოსახვა ბევრად ამარტივებს კვლევის პროცესებს.

საჭირო მონაცემთა სწორი შეგროვება , შემდგომი დამუშავება და ანალიზი , სტატისტიკა , კომბინატორიკა , ალბათობის თეორია - მეცნიერული პროგნოზირების მძლავრი საშუალებაა. პროგნოზირება კი რეალობასა და მის მოვლენებს უფრო გასაგებს ხდის და , ამისთანავე , იძლევა საშუალებას ასე თუ ისე ვმართოთ ზოგიერთი პროცესი , რეალობაში არსებული ზოგიერთი პროცესის სწორი მართვა კი კეთილდღეობის მაჩვენებელზე დადებით გავლენას ახდენს.

პროცესთა მართვა მეცნიერების ერთ-ერთი მიზანია. როგორც ვნახეთ , ეს ბევრად , ბევრად უფრო ადვილი ხდება მაშინ , როდესაც ადამიანი სწორი ფილოსოფიით ხელმძღვანელობს.

მათემატიკური აზროვნება უფრო აკონკრეტებს ინფორმაციას , რაც ასე საჭიროა მეცნიერული მიდგომისთვის. ზოგადად არსებობს რაობა და რაოდენობა. რაობა უფრო უკავშირდება ფილოსოფიასა და ლოგიკას , ხოლო რაოდენობა - უფრო მათემატიკურია.

სივრცის სამი კოორდინატი - მათემატიკური ასპექტია. ნივთები , ობიექტები - გეომეტრიული სხეულებია. მათი ზომა და ოდენობა , სიგრძე , ფართობი , მოცულობა - რიცხვებია. მათემატიკა აბსტრაქტულია , ის ზოგად კანონზომიერებებს შეისწავლის. შესაბამისად , კონკრეტული მაგალითების განზოგადოება მათემატიკის საშუალებით , მათემატიკური მოდელის შედგენითა და აღწერა-შესწავლით უფრო ადვილი და უფრო სიღრმისეული ხდება. ეს მათემატიკურ მოდელირებას რეალურ , ლოგიკურ და ფილოსოფიურ საფუძველს იძლევა.

ფიზიკა.

ფიზიკა - მეცნიერებაა გარე სამყაროს შესახებ. მატერიალური ობიექტები ფიზიკის კანონებს ემორჩილება , ასევე მისი კვლევის ობიექტს წარმოადგენენ. ფიზიკა სივრცესაც და დროსაც

შეისწავლის. ფიზიკის კანონები რეალობის ნაწილია , შესაბამისად , რეალობის შესწავლა ფიზიკის შესწავლასაც მოისაზრებს. ფიზიკის კანონები მათემატიკას , მის კანონზომიერებებს ეფუძნება , მათემატიკა კი - ლოგიკას , ხოლო ლოგიკა - რეალობიდან გამომდინარეობს. ფიზიკის კანონები აწესრიგებს პროცესებს. პროცესის მახასიათებლებია:

- წარმართვის არსი (ანუ ზოგადად რა უნდა წარიმართოს).
- წარმართვის პირობები.
- წარმართვის მიზეზი.
- წარმართვის შედეგი.
- წარმართვის ალბათობა.
- წარმართვის მიმართულება.
- წარმართვის სიჩქარე.

ეს სამივე პუნქტი ფიზიკის კანონთა არსიდან , ფუნქციებიდან , მათი ურთიერთქმედებიდან გამომდინარეობს.

ფიზიკა , მათემატიკისგან განსხვავებით - კონკრეტული მეცნიერებაა. მას კვლევის კონკრეტული საგანი აქვს - მატერიალური ობიექტი. მატერია არსებობს სხეულების , ნივთიერებების , ენერგიის სახით , თუმცა , შესაძლოა , არსებობს მატერიის კიდევ სხვა ტიპებიც. მეცნიერებას ჯერ კიდევ ბევრი აქვს გასარკვევი. ახლანდელი მეცნიერება საკმაოდ მაღალ დონეზე დგას , მაგრამ ვინ იცის , რა აქვს ამ მეცნიერებას კიდევ აღმოსაჩენი?.. სხვათა შორის , მეცნიერებათა განვითარების მიმართულებების დაგეგმვა - ფილოსოფიის საქმეა.

ფიზიკის კანონების შესწავლა სამყაროს უფრო უსაფრთხოს ხდის , ასევე ამ ფიზიკურ კანონთა კაცობრიობისთვის სასარგებლოდ გამოყენება ხდება შესაძლებელი: ძირითადად ასე ხდება ცივილიზაციათა ჩასახვა , ზრდა , განვითარება , კეთილდღეობა... მეცნიერული პროგრესი ასეთი მნიშვნელოვანია! ამიტომაც ცივილიზაციაზე საუბარი , რეალურად , შესაძლებელია სწორი ფილოსოფიის და სხვა მეცნიერებათა , ხელოვნებათა და ხელობათა განვითარების დოდონეზე , ასევე ზოგადად რეალობის შესახებ ადექვატური ცოდნის დონეზე დაყრდნობით , ანუ ამ ცივილიზაციების ამა თუ იმ სფეროებში პროგრესის დონის გათვალისწინებითა და ადექვატური ანალიზით. ფიზიკის საშუალებით იქმნებოდა მარტივი მექანიზმები , რომლებიც თანდათანობით რთულდებოდა , უფრო დახვეწილი ტექნიკური აღჭურვილობა ჩნდებოდა , ვითარდებოდა ცივილიზაციის ტექნიკური მხარე. მაგრამ კაცობრიობას უნდა აუცილებლად ფსიქოლოგიური მზად ყოფნა ჰქონდეს საკმარისი , რომ ასეთი ახალი და მოწინავე იდეები იყოს ადექვატურად მიღებული. შუა საუკუნეებში , რამდენადაც არის ცნობილი , ბევრგან მეცნიერება არ სარგებლობდა პატივით. ეს უარყოფითად მოქმედებდა პროგრესსა და კეთილდღეობაზე. ფსიქოლოგიურ მზად ყოფნას მნიშვნელოვანი როლი აკისრია. ფიზიკა და ზოგადად მეცნიერება - კეთილდღეობის მაჩვენებელზე დადებითად მოქმედი და მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ქიმია.

მატერიალური ობიექტის ისეთი სახეობა , როგორიცაა ფიზიკური სხეული , შედგება ნივთიერებებისგან. ნივთიერება კი შემადგენლობით ხასიათდება. შემადგენლობა არის თვისებითი და რაოდენობითი. შემადგენლობიდან გამომდინარე ნივთიერებას აქვს ან არ აქვს ესა თუ ის თვისებები.

ნივთიერება მოლეკულებისგან , ატომებისგან - კონკრეტული მატერიალური ნაწილაკებისგან შედგება. ამ ნაწილაკთა არსებობა , აღნაგობა , მათში მიმდინარე პროცესები , ნაწილაკთა ერთმანეთთან რეაგირება - ფიზიკის კანონებს ემორჩილება. ქიმია ფიზიკიდან გამომდინარეობს და ეფუძნება მას. ქიმია - ნივთიერებათა და მათ გარდაქმნათა შესახებ სწავლებაა. ნაერთთა

თვისებები მათი აღნაგობიდან გამომდინარეობს , ხოლო აღნაგობა (და შემადგენლობაც) ფიზიკის კანონების მოქმედების შედეგია.

ქიმიური რეაქცია წარიმართება (ან არ წარიმართება) ფიზიკური სიდიდეების გათვალისწინებით. სწორად ფიზიკა აგებს პასუხს , წარიმართება თუ არა ესა თუ ის ქიმიური პროცესი (გაიხსენეთ , რომ ფიზიკის კანონები აწესრიგებს პროცესებს , როგორც წინა პარაგრაფში წერია).

ქიმია , შეიძლება ითქვას , ყველგან გვხვდება. რადგანაც მატერიალურ ობიექტს აქვს შემადგენლობა - ის არის ქიმიის კვლევის ობიექტიც.

ატომები , მოლეკულები , იონები - წარმოადგენენ მატერიალურ ობიექტთა , - სხეულთა და ნივთიერებათა , - აგურებს , სამშენებლო ბლოკებს. სწორად ამ ბლოკებისგან შედგება ადამიანის სხეულიც! ქიმია - ჩვენს შესახებ მეცნიერებაა , შეიძლება ითქვას!

წამალიც , შხამიც , საჭმელიც - ქიმიური ნაერთია. საჭმლის თერმული დამუშავებაც - ქიმიური პროცესია. რეალურად კულინარიის "შიგნით" ქიმია იმალება. სუნი , გემო , ფერი და ბევრი სხვა რამ - ქიმიითაა განპირობებული , ხოლო ამ ქიმიაში ფიზიკა იმალება , რომელსაც რაოდენობრივი თანაფარდობებისა და რიცხვითი კანონზომიერებების სახით მათემატიკა უქმნის ლოგიკურ საფუძველს ; ლოგიკა კი რეალობიდან გამომდინარეობს.

ბიოლოგია.

სიცოცხლე - რეალობის ნაწილია. ჩვენ ცოცხალი არსებები ვართ. სიცოცხლე - ბიოლოგიის კვლევის ობიექტია. ჩვენს სხეულს , როგორც უკვე ვახსენეთ , სამშენებლო მასალად ატომები , მოლეკულები , იონები აქვს: ბიოლოგიური ობიექტი ქიმიური ობიექტებისგან შედგება , ბიოლოგიას ქიმია უდევს საფუძვლად.

ბიოლოგიურად ასე თუ ისე აქტიური ნივთიერებები ან თუნდაც , მაგალითად , სამშენებლო ცილები , ცხიმები ან ნახშირწყლები , ასრულებენ თავიანთ ფუნქციას თავიანთი ქიმიური აღნაგობიდან გამომდინარე , ქიმიის კანონების მიხედვით. ამ პრინციპითაა აგებული ცოცხალი უჯრედები - ეს სიცოცხლის პატარა ერთეულები. გენური მასალაც ქიმიაა - ქრომოსომა ქიმიური სტრუქტურაა მაგრამ ბიოლოგიური როლი აკისრია. ბიოლოგიური ფუნქცია - ეს ნაერთის როლია , ხოლო თვითონ ეს ნაერთი ბიოლოგიური კი არა , არამედ ქიმიურია.

სიცოცხლისა და მისი ისტორიის , განვითარების , მასში არსებული ცვლილებების კვლევა ხდება უფრო ფართო და საფუძვლიანი , როდესაც ეს კვლევა მოლეკულურ დონეზეც ხდება , რადგანაც სწორად მოლეკულური დონით იწყება ბიოლოგიის ქიმიური შესწავლა და ის გრძელდება ატომურ და იონურ დონეებამდე. დგინდება ბიოლოგიასა და ქიმიას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირები და შეისწავლება ლოგიკის კანონებზე დაყრდნობით.

ორგანიზმის ბიოლოგიური აქტიურობა და ზოგადად სიცოცხლე , ჯანმრთელობა , ბიოლოგიური კარგად ყოფნა - ქიმიურ მაჩვენებელთა მნიშვნელობებით აღიწერება.

ტვინი მართლაც ძალიან რთული ორგანოა , მაგრამ მის მუშაობასაც ქიმიური პროცესები უზრუნველყოფს. ტვინის ნეირონული მუშაობა - ქიმია და ფიზიკაა , ნეიროგადაცემები , იმპულსური დენები , ნეირონთაშორისი მიმოცვლები - ფიზიკური კანონებით გამოწვეული ქიმიური პროცესებით მართული ისევ ფიზიკური (იმპულსური) მოვლენებია. ტვინის მუშაობა - ნეირონთა ბიოელექტრული ურთიერთქმედებაა. ტვინის შესწავლაშიც ასევე მისი ფუნქციონირების შემეცნების ქიმიური კუთხეც არ უნდა იყოს დავიწყებული.

ცოცხალი ორგანიზმი - მხოლოდ ადამიანი არაა. უამრავი ბიოლოგიური სახეობა არსებობს , მათ აქვთ მსგავსი და განსხვავებული , საერთო თვისებები და განსაკუთრებული თვისებები და ამ ყველაფრის სისტემური შესწავლა ხდება ბიოლოგიური სახეობის გენური მასალის , დნმ-ის კვლევით. დნმ ანუ დეზოქსირიბონუკლეინის მჟავა - ქიმიური ნაერთია. ანუ ის , რომ ჩვენ ვართ

ადამიანები - ჩვენი ბიოქიმიით , ქიმიზმით აიხსნება. ადამიანის სისტემური "გაშიფვრა" სწორად დნმ-ის გაშიფვრას ეფუძნება.

მედიცინა.

ჯანმრთელობა - კეთილდღეობის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია.

ჯანმრთელობაზე ბევრი ფაქტორი გავლენას ახდენს , მაგრამ მასზე მედიცინა აქტიურად ზრუნავს. აქვე სათქმელია , რომ საუბარი მხოლოდ ადამიანის მედიცინაზე არაა. მაგალითად , ვეტერინარიაც მედიცინაა თავისი არსით. მედიცინა ბიოლოგიის ცოდნას იყენებს პრაქტიკაში , ჯანმრთელობის კონკრეტულ პრობლემათა მოსაგვარებლად. წამლები წარმოადგენენ ქიმიურ ნაერთებს. ორგანიზმიც ერთგვარი ბუნებრივი ქიმიური ლაბორატორიაა. ექიმს სჭირდება იცოდეს ბიოლოგია , ქიმია , ფიზიკა , მათემატიკა , ლოგიკა... ექიმს ბევრი ცოდნა სჭირდება.

დაავადებასთან და მის სიმპტომებთან ბრძოლისთვის საჭიროა ვიცოდეთ მისი გამომწვევი (მიზეზი) და მისით გამოწვეული (შედეგი) , საჭიროა გაანალიზება. მედიცინა ლოგიკურადაა აწყობილი: მაგალითად , ვთქვათ , გვაქვს ორგანიზმი (წარმოსახვითი მოდელი) და დავუშვათ , ორგანიზმის ფიზიოლოგიურად ნორმალური მდგომარეობაა N , ხოლო პათოლოგიური მდგომარეობა , ვთქვათ , არის P. ეს P რატომღაც ხომ წარმოიქმნა , რატომღაც ხომ გაჩნდა დაავადება კონკრეტულ ორგანიზმში? მაშინ უნდა არსებობდეს "N => P"-გადასვლის , ანუ პათოლოგიური მდგომარეობის გაჩენის გამომწვევი მიზეზი , ვთქვათ , A. მაშინ ეს A შეიძლება გახდეს კვლევის ობიექტი. ასევე , იქნებ შეიძლება ვიპოვოთ B , რომელიც არის A-ს მავნე გავლენის ბლოკატორი ან უკურეაქციის გამომწვევი , ანუ "P => N"-გადასვლის მიზეზი (განმაპირობებელი ფაქტორი)? ასევე , თუ P იწვევს C - სიმპტომს , საჭიროა დაფიქრება იმაზე , თუ რა D უნდა ვიპოვოთ , რომელიც ებრძვის ამ C-ს. ამ ყველაფრისთვის ექიმმა უნდა იცოდეს , თუ რას წარმოადგენს N , P , A , B , C , D , უნდა ლოგიკური და დარგობრივი ცოდნა ჰქონდეს , კომპლექსური აზროვნება შეეძლოს.

ორგანიზმი რთული ბუნებრივი მოწყობილობაა , ერთიანი სისტემაა. და ამ სისტემის მწყობრში მოსაყვანად დიდი ცოდნა , ლოგიკა და კომპლექსური , ერთობლივი და ბევრი ფაქტორის გამათვალისწინებელი მიდგომა სჭირდება.

ხელოვნური ინტელექტი.

კომპიუტერული და ელექტრონული ტექნოლოგიები საკმაოდ სწრაფი ტემპით ვითარდება. ჩვენ აღვნიშნეთ , თუ რას წარმოადგენს ტვინის მუშაობა. საბოლოო ჯამში , ეს ბიოელექტრული ურთიერთქმედებაა , ის ნეირინთაშორისი იმპულსური დენების წარმოქმნითა და გადაცემებით აღიწერება , ფიზიკურ ფაქტორამდე დაყვანადია. გრძობა , ფიქრი , ინსტინქტი , რეფლექსი , განცდა - ეს ყველაფერი ტვინის მუშაობის სფეროში შედის , მაშასადამე , ფიზიკურ ფაქტორამდე არის დაყვანადი , წარმოადგენს რა ეს ყველაფერი ნეირონების ერთმანეთთან ბიოელექტრულ ურთიერთქმედებას , იმპულსების გადაცემას. თუ იმპულსის არსებობას აღვნიშნავთ 1-ით , ხოლო იმპულსის არ არსებობას 0-ით , მაშინ ტვინის მუშაობის აღწერა შესაძლებელი ხდება ორობითი სისტემის მეშვეობით. იმავე სისტემით სარგებლობენ ელექტრონიკაში , ასევე ელექტრონიკაშიც საქმე გვაქვს ელექტრულ იმპულსებთან. ელექტრონული ელემენტების (ნახევარგამტარების , მაგალითად ან სხვა ელექტრონული ნაწილების) ერთმანეთთან კონტაქტურად ან მართულებით დამაგრება არის შესაძლებელი , რაც ელექტრულ წრედს , ერთობლივ სისტემას ქმნის. ტვინიც ერთობლივი სისტემაა - ნეირონთა კავშირია. ამ ყველაფერში აშკარად ჩანს მსგავსება ტვინისა და ელექტრული სისტემის კონსტრუქტივსა და ფუნქციონირებას შორის. ჩნდება საშუალება შევქმნათ ტვინის ხელოვნური ვერსია. ინტელექტი

არის თავად ტვინის მუშაობა , აზროვნების პროცესი , ინფორმაციის აღქმა და დამუშავება , ლოგიკა , მსჯელობა , გონი. ბუნებრივ (ცოცხალ , ბიოლოგიურ) ტვინს აქვს ბუნებრივი ინტელექტი , ხოლო ტვინის ხელოვნურ ვერსიას - ხელოვნური ინტელექტი აქვს.

ხელოვნური ინტელექტი , ისევე როგორც ზოგადად კომპიუტერული ტექნოლოგიები , თავისთავად , არც კარგია და არც ცუდი. ის მხოლოდ ინსტრუმენტია , ერთგვარი "ნივთი" , რომლის გამოყენება , ნეიტრალური , კეთილი თუ ბოროტი , გამომყენებელზეა დამოკიდებული. ზოგადი პრინციპი ასეთია , რომ კარგი და ცუდი - ნივთი კი არაა , არამედ ამ ნივთის გამოყენებაა.

ხელოვნური ინტელექტი შეიძლება კაცობრიობისთვის სასარგებლო იყოს. მთავარია ის კარგად გამართული , სწორად აწყობილი , კარგად მოქმედი იყოს. ამისთვის კი დიდი ცოდნაა საჭირო. მეცნიერება როგორც ასეთი , ამ მეცნიერებაზე დაყრდნობილი მოწინავე ტექნოლოგიები და ამ ტექნოლოგიათა სწორი და გონივრული გამოყენება ხელოვნური ინტელექტის წესიერ განვითარებას ხელს უწყობს. და რადგან გრძნობაც , რეალურად , ნეირონების ერთმანეთთან ბიოელექტრული ურთიერთქმედებაა და , მაშასადამე , შეიძლება 0-ებისა და 1-ების სახით იყოს წარმოდგენილი - ეს იძლევა საშუალებას შეიქმნას გრძნობების მქონე ხელოვნური ინტელექტი , იძლევა საშუალებას შეიქმნას "ხელოვნური ადამიანი" გრძნობების მქონე , მაგრამ რამდენადაა საჭირო ხელოვნური ადამიანები? რა საჭიროა მივცეთ გრძნობები ხელოვნურ ინტელექტს? რა საჭიროება არსებობს ამ ყველაფრისა? და როგორ ვიურთიერთქმედოთ ამ მგრძნობიარე კომპიუტერებთან , რომ მათი გრძნობები არ იყოს ნატკენი? გრძნობების ქონა მათ ცოცხალ არსებას დააახლოებს , ერთგვარი გარკვეული მსგავსება გაჩნდება ცოცხალსა და ხელოვნურს შორის. ეს კი პრინციპულად სხვა ეტაპია. დაუმატეთ გრძნობებს ინსტინქტები (ასევე 0-ით და 1-ით ჩაიწერება რადგან ესეც ტვინის მუშაობაა) და ხელოვნური ინტელექტი კიდევ უფრო დაუახლოვდება ცოცხალს. აქ ისევ ფილოსოფია გადმოდის პირველ ადგილზე , ამ "ხელოვნური ადამიანების" შექმნისა და მათთან ურთიერთქმედების ეთიკური მხარე არის გასათვალისწინებელი.

ხელოვნური ინტელექტის კეთილსა და ბოროტ გამოყენებასთან ერთად აღსანიშნავია ისიც , რომ თვითგანვითარებად ხელოვნურ ინტელექტს თავად უნდა შეეძლოს სიკეთისა და ბოროტების გარჩევა , ანალიზი , უნდა შეეძლოს სწორად მოიქცეს ამა თუ იმ სიტუაციაში. რეალურად ჩვენ ვეხებით , ასე ვთქვათ , "კიბერფსიქოლოგიის" , "კიბერდიდაქტიკისა" და "კიბერპედაგოგიკის" თემას. ასეთ ხელოვნურ ინტელექტს უნდა სწორი ფილოსოფიაც ესმოდეს , რადგანაც ფილოსოფიას პირდაპირ უკავშირდება ფსიქოლოგიაც , დიდაქტიკაც პედაგოგიკაც. ეს ყველაფერი ფანტასტიკურად ჟღერს , ალბათ ჯერჯერობით მხოლოდ ფანტასტიკას წარმოადგენს , მაგრამ რეალური , ლოგიკური საფუძველი გააჩნია , რაც გვიჩვენებს , რომ ეს პრინციპში ოდესღაც შეიძლება გახდეს რეალობა. ხელოვნური ინტელექტი როგორც ასეთი კი უკვე არის ჩვენი რეალობის ნაწილი...

<u>რობოტი.</u>

რობოტი - ადამიანის ხელოვნური დამხმარეა. თანამედროვე რობოტს აქვს ამა თუ იმ დონის ინტელექტი , ის ამა თუ იმ ამოცანების სპექტრისთვის არის შექმნილი. თანამედროვე რეალიებში , სადაც მნიშვნელოვან ადგილს ხელოვნური ინტელექტი იკავებს , რობოტი ხშირად მოისაზრება როგორც "სხეულის" მქონე ხელოვნური ინტელექტი , ინტელექტი რკინის "სამოსში". მაგრამ რა ქმნის აუცილებლობას იმისა , რომ რობოტის "სხეული" რკინისგან იყოს დამზადებული? არაფერი არ ქმნის ამის აუცილებლობას. ანუ თეორიულად , რობოტის "სხეული" შეიძლება ნებისმიერი მასალისგან იყოს დამზადებული. შევეხოთ ფანტასტიკას , თუმცა მივცეთ მას რეალური ნიადაგი: რკინის ნაწილები რკინისგან მზადდება , თავისთავად ცხადია. რკინა - ქიმიური ნივთიერებაა. ხოლო რადგან ცოცხალი უჯრედი - ასევე ქიმიური ელემენტებისგან ,

ნივთიერებებისგან შემდგარია , შეიძლება ამ ნივთიერებათა სინთეზიც , ანუ ბუნებრივი უჯრედის ხელოვნური შექმნა. ხოლო რადგანაც ორგანიზმი - უჯრედთა ერთობლიობაა , მაშინ შესაძლებელი ხდება ბევრი უჯრედის , ანუ ორგანიზმის ხელოვნური შექმნაც. და ეს ორგანიზმი შეიძლება იყოს "ხელოვნური ადამიანი" , გულით , სისხლით , დნმ-ით , ტვინით… ინტელექტით! დიახ , ეს ფანტასტიკაა , მაგრამ ლოგიკას არ ეწინააღმდეგება , ანუ პრინციპში ოდესღაც შეიძლება რეალობად იქცეს , თუმცა ორგანიზმის ქიმიური სინთეზი - საკმაოდ ნატიფი , ზუსტი და რთული პროცესია.

არსებობს სხვა საინტერესო ფანტაზიაც: რა ქმნის იმ აუცილებლობას , რომ მემკვიდრულობის გადამცემი იყოს ქრომოსომა , გენი , დნმ? არაფერიც არ ქმნის ამის აუცილებლობას. ეს მემკვიდრული ნიშან-თვისებების ხელოვნური გადამცემის შექმნის ლოგიკურ საფუძველს ქმნის , ანუ ამა თუ იმ ტიპის "სხეულის" მქონე თვითგენერირებადი , რეპროდუქტიული თვისების მქონე რობოტების შექმნის ლოგიკური შესაძლებლობა ჩნდება. იმის გათვალისწინებით , რომ ემბრიონის ზრდა-განვითარებს ასევე ბიოლოგიურ კანონებს ექვემდებარება , რომლებიც ქიმიურ კანონებს ეფუძნება. ანუ რეალურად ესეც ქიმიურ სინთეზამდე დაიყვანება , რომელიც გენებით არის განპირობებული. ხელოვნური გენები და ხელოვნური მასალა , ლოგიკურად არ ქმნის არანაირ წინაღობას ანუ ლოგიკურად ესეც შესაძლებელია! ესეც ფანტასტიკაა , თუმცა როგორც ვხედავთ , აქაც ლოგიკის კანონები არ ირღვევა ანუ ესეც პრინციპში ოდესღაც შეიძლება გახდეს რეალობის ნაწილი. მაგრამ რა აზრი აქვს ასეთ ფანტასტიკურ რობოტთა შექმნას? რა საჭიროა "ხელოვნური ადამიანები" ან რეპროდუქციის უნარის მქონე რობოტები? აქ ფილოსოფია ისევ გადმოდის პირველ ადგილზე: ხელოვნური ადამიანი - ადამიანია. მაგრამ ხელოვნური. და აქედან გამომდინარე , არის თუ არა ხელოვნური ადამიანი ნამდვილი ადამიანი , თუ მაინც რობოტია? რობოტი ემორჩილება ადამიანს. მაშინ რა უფლებებით ისარგებლებს "ხელოვნური ადამიანი" და რა ურთიერთობა ექნება მათ ჩვეულებრივ ადამიანებთან? და რა ვქნათ თუ რეპროდუქციის უნარის მქონე რობოტები ძალიან ბევრი გახდება?.. შესაძლოა , არსებობს კიდევ შეკითხვები… ამიტომაც აქ ფილოსოფიის ეთიკური შეფასება არის აუცილებელი.

ხელოვნური ინტელექტისა და რობოტების შექმნის ზოგიერთი ასპექტი შეიძლება სასარგებლო იყოს პროტეზირებაში , მაგალითად. ადამიანის სხეულის ნაწილების ბიოთავსებადი და ბიოლოგიური ნივთიერებებისგან შემდგარი პროტეზების შექმნა იგულისხმება.

<u>ლოგიკური აზროვნება.</u>

საინტერესოა , რა ახასიათებს ლოგიკურ აზროვნებას?
ლოგიკური აზროვნების ასპექტებია:

- ჭეშმარიტი და მცდარი დებულებები და მათი ერთმანეთისგან გარჩევა.
- ლოგიკური ჯაჭვების სწორად აგება. მიზეზი და შედეგი.
- აუცილებელი და საკმარისი პირობები , მათი ერთმანეთისგან გარჩევა.
- ლოგიკური კავშირები: ორი ელემენტარულია - "და/and" , "ან/or" , ხოლო ესენი უფრო რთულია წინა ორთან შედარებით - "ერთ-ერთი მაინც" , "მხოლოდ ერთი" და ამდაგვარი.
- არგუმენტები და კონტრარგუმენტები.
- ლოგიკური დამტკიცება და უარყოფა.

ეს ექვსი პუნქტი არის ლოგიკური აზროვნების მახასიათებელი. ამ პუნქტთა სწორი და დროული გამოყენება აზროვნების ეფექტუროობას ზრდის.

ლოგიკური მიმდევრობა დაშვებათა დამტკიცებას ან უარყოფას ახორციელებს და ასე დგინდება ამ დაშვებათა ტიპი - ჭეშმარიტი (true , t) ყოფილა ისინი თუ მცდარი (false , f).

ჭეშმარიტი მონაცემების სწორი დამუშავებითა და მათგან სწორი ლოგიკური ჯაჭვების აწყობისას ასევე ჭეშმარიტი შედეგი მიიღება.

ლოგიკური აზროვნება მიმდევრობითია. ვთქვათ , გვაქვს რაიმე A , B , C - სამი დებულება და ცნობილია , რომ C ჭეშმარიტია ხოლო A-ს შედეგი არის D (მხოლოდ A ამას იწვევს) და ის ან არსებობს , ან არა , მაგრამ ის აუცილებლად არის მაშინ , როცა B ჭეშმარიტია. B , თავის მხრივ , ჭეშმარიტია როცა C ჭეშმარიტია. და ამასობაში ამოცანაა: არსებობს თუ არა A? ლოგიკა გვეუბნება:

- რადგან C ჭეშმარიტია - B-ც ჭეშმარიტია.
- რადგან B ჭეშმარიტია - D არსებობს.
- რადგან D არსებობს და მას მხოლოდ A წარმოქმნის - მაშინ A-ც არსებობს.

გამოვიდა ის ფაქტი , რომ C იწვევს B-ს , B იწვევს A-ს , A იწვევს D-ს. C-თი დადგინდა B , B-თი დადგინდა D , მაგრამ ეს D არსაიდან არ მოდის. ასე D-ს არსებობით დადგინდა მისი მიზეზი A. ასე ლოგიკა უხილავის "დანახვაში" გვეხმარება.

<u>კრიტიკული აზროვნება.</u>

ჩვენს მიერ გაგონილი , წაკითხული ან რაიმე სხვა გზით მიღებული ინფორმაცია სულაც არაა აუცილებელი რომ არის ჭეშმარიტი. არც მცდარია აუცილებლად. ინფორმაციის გასააზრებლად საჭიროა ჯანსაღ კრიტიკულ მიდგომას მივმართოთ.

კრიტიკული აზროვნება ლოგიკასა და უბრალოდ ეჭვის ქვეშ მყოფ ფაქტთა ან შეუმოწმებელ მონაცემთა შედარებით კვლევას ეფუძნება. ჯანსაღი კრიტიკული მიდგომა გვეხმარება არ გავხდეთ დეზინფორმაციისა და ფეიკის მსხვერპლი. დეზინფორმაცია და ფეიკი სწორი ფილოსოფიის შეცნობას გვიშლის , ხოლო სწორი ფილოსოფია რამხელა მნიშვნელოვანიცაა ჩვენ უკვე აღვნიშნეთ. ეს ყველაფერი ხაზს უსვამს კრიტიკული უნარ-ჩვევების დაუფლების აუცილებლობას.

ზოგი "კრიტიკა"-ში მხოლოდ უარყოფით გაკრიტიკებას გულისხმობს , თუმცა სინამდვილეში კრიტიკა შეიძლება დადებითიც იყოს. ის ერთგვარ შეფასებას წარმოადგენს , ადგენს , ჭეშმარიტია თუ მცდარი ესა თუ ის ჰიპოთეტური ინფორმაცია , აფასებს მას , მსჯელობს ინფორმაციისგან სწორი , რაციონალური მარცვლის მოპოვებაზე.

ფეიკი , დეზინფორმაცია ან უბრალოდ უნებლიე შეცდომა ადვილად აბნევს ადამიანს , ვინც კრიტიკულად არ/ვერ აზროვნებს. კრიტიკული აზროვნება ეხმარება ადამიანს შეიმეცნოს ჭეშმარიტება.

<u>ანალიტიკური აზროვნება.</u>

მონაცემთა , ფაქტთა და ზოგადად ამა თუ იმ ინფორმაციის შეფასებისას და გამოყენებისას საჭიროა სწორი ანალიზის ჩატარება. ვთქვათ , არის ცნობილი A და B , ორივე სწორი ფაქტია. ამ ფაქტთა გაანალიზებით შესაძლებელი ხდება მივიღოთ C , როგორც მთლიანი მონაცემი , წინა ორის გაერთიანება. ანალიზი - ერთგვარი შეკავშირებაა და პარალელის გავლაა ასპექტებს შორის. ასევე , ინფორმაციის სწორი გააზრება - ესეც ანალიზია. ინფორმაციის მხოლოდ მიღება არაა საკმარისი. მნიშვნელოვანია მისი სწორი გააზრება და სწორი გამოყენება.

ანალიტიკური აზროვნება ეხმარება ადამიანს გაიგოს ინფორმაციის ღრმა შინაარსები , ძირფესვიანად გაიაზროს ინფორმაცია. არსებობს ე.წ. კლიპური აზროვნება. ის კარგია მიმოხილვებისთვის და ინფორმაციასთან გაცნობისთვის , მაგრამ ღრმა გააზრებისთვის საჭიროა ე.წ. გაგებითი აზროვნება , კომპლექსური გაანალიზება. ინფორმაცია არ წარმოადგენს

"ფაქტთა ნაგლეჯებს" , არამედ მთლიანობაა , რომლის მთლიანივე გააზრება ხელს უწყობს მის სიღრმისეულ გაგებასა და სწორი წარმოდგენის შექმნას , რაც ასე ძალიან საჭიროა ჯანსაღი აზროვნებისთვის.

აბსტრაქტული აზროვნება.

აბსტრაგირება - მოდელირების საფუძველია. აბსტრაქტული აზროვნება ადამიანს ანიჭებს შესაძლებლობას დაინახოს ახალი თვისება ძველ რაღაცაში , არასტანდარტულად გამოიყენოს ესა თუ ის ნივთი ან კონცეფცია , გაავლოს საინტერესო და , პირველი დანახვით შესაძლოა უცნაური , პარალელები სხვადასხვა რაღაცას შორის.

აბსტრაქტული აზროვნება კონკრეტული "მყარი" დებულებებიდან აბსტრაქტულ , განზოგადოებულ , "ჰაეროვან" იდეებამდე გადასვლას შესაძლებელს ხდის. ადამიანის ფანტაზია ფრთებს იძლევა , ადამიანი დაფრინავს გონის სივრცეში , ხედავს რა კონკრეტულ და აბსტრაქტულ წარმოსახვებს , კონცეფციებს , თეორიებს...

აბსტრაგირება - კერძო მაგალითიდან ფორმულამდე გადასვლაა: "ორ ვაშლს მივუმატოთ სამი ვაშლი - იქნება ხუთი ვაშლი" ხდება "2+3=5" , მერე კი - "a+b=c". პრაქტიკული მაგალითიდან მივიღეთ ზოგადი წესი. ასე შეიძლება შეიქმნას მათემატიკური მოდელი. a , b და c სულაც არაა აუცილებელი ეს კონკრეტული რიცხვები და ვაშლები იყოს. a - ხუთი ვაშლიცაა და მილიარდი ვარსკვლავიც. აბსტრაგირება ხომ ზოგად წესს გვიჩვენებს. ისე , აბსტრაგირება მხოლოდ რიცხვით ოპერაციებს არ მოისაზრებს.

ბევრი აღმოჩენისა და გამოგონებისთვის აუცილებელ ან სასურველ უნარ-ჩვევას წარმოადგენს აბსტრაქტული აზროვნება. პრაქტიკულ ყოფა-ცხოვრებაში , სიტუაციათა მოდელირებაში ის აუცილებელ უნარ-ჩვევას წარმოადგენს.

კონსტრუქტიული აზროვნება.

კონსტრუქტიული დიალოგი , კონსტრუქტიული ქმედება , კონსტრუქტიული აზრი... შესაძლოა , ასე თუ ისე ხშირად გვესმის ეს სიტყვა - "კონსტრუქტიული" , მაგრამ რას ნიშნავს ის? და რატომაა ის მნიშვნელოვანი?

ჩვენ უკვე ვიცით , რაც არის კეთილდღეობის მაჩვენებლი და ვიცით , რომ სწორი ფილოსოფია ამ მაჩვენებელზე დადებითად მოქმედებს. კონსტრუქტივიზმი - ზუსტადაც ამ სწორი ფილოსოფიის პრაქტიკული განხორციელებაა. "კონსტრუქტიული" რაღაცის შექმნასთან ასოცირდება , შედეგთან , რეზულტატთან. კონსტრუქტივიზმი შედეგის მომტანს ნიშნავს , ხოლო რადგანაც სწორ ფილოსოფიაზე ვამბობთ , კონსტრუქტიული შედეგიც კარგი უნდა იყოს. ცუდ შედეგს - დესტრუქტიული ეწოდება. ესეც ერთგვარი რეზულტატია მაგრამ მას ბოროტი შედეგი აქვს. ანუ მარტივად რომ ვთქვათ - კონსტრუქტიული აზროვნება - დადებითი , კარგი შედეგის მისაღებად ნაბიჯების გადადგმის დაგეგმვაა და ამ გადადგმის პრაქტიკული შესრულებაა.

კონსტრუქტივიზმი - რეალობის სურათის გასაუმჯობესებლად შემოქმედებითი (ფართო გაგებით) ღონისძიებების ჩატარებაა. შემოქმედებითი - მხოლოდ ხელოვნებას არ ნიშნავს. ფართო გაგებით ეს ზოგადად დადებით , კარგ , სწორ ქმედებებს ნიშნავს რეალობის გასაუმჯობესებლად.

როგორც ვხედავთ , კონსტრუქტიული აზროვნება პირდაპირ კავშირშია ფილოსოფიასთან. თუ არსებობს რაიმე არასწორი წესი - მიდგომა "ეს წესი მე არ შემიქმნია და არც ჩემი გასაუქმებელია და არც ჩემი შესაცვლელი" ძირშივე არასწორია! კონსტრუქტივიზმი რეალობის გაუმჯობესების მიზანს ისახავს , ხოლო გაუმჯობესება - ცვლილებაა თავისი ბუნებით.

ცვლილების გარეშე გაუმჯობესება შეუძლებელია რადგანაც ცვლილება ცვლილებების გარეშე - აბსურდია. ასე რომ , ფილოსოფიის პრაქტიკული გამოვლინება - რეალობასთან მუშაობაა. ეს არაადვილი საქმე - ფილოსოფოსთა ასპარეზია. ვითარც ნედლი ალმასის ბრილიანტად გადაკეთებისთვის დრო და შრომა არის საჭირო , ასევე რეალობასთან მუშაობა დროსა და ენერგიას მოითხოვს. ამ ენერგიის ფილოსოფოსის მიერ დახარჯვა - მისი მუშაობის რეალურად არსებობას ადასტურებს.

კონსტრუქტიული აზროვნება ეხმარება ადამიანს ამა თუ იმ სიტუაციაში სწორი , ადექვატური და მიზანშეწონილი გადაწყვეტილება მიიღოს. კონსტრუქტივიზმი მეცნიერებაში სასარგებლო მიდგომაა , პროგრესისთვის გეზის დაგეგმვაში მნიშვნელოვანი ასპექტია.

მეცნიერული მიდგომა.

რას ეფუძნება მეცნიერება? რას წარმოადგენს ის?

მეცნიერება ფაქტებთან მუშაობს. ფაქტი - დამტკიცებული ჭეშმარიტებაა. მეცნიერებაში არსებობს მოსაზრებებიც , ვარაუდებიც , თეორიებიც , ჰიპოთეზებიც... თუმცა ეს ყველაფერი , სანამ არ დამტკიცდება , ვერ იქნება უდავო ფაქტი. დამტკიცება კი ლოგიკურად ხდება , ექსპერიმენტის ჩატარებით , კვლევით , დაკვირვებით , კრიტიკული მიდგომით , ანალიტიკით , აბსტრაგირებით...

მეცნიერება რეალობას უფრო გასაგებს ხდის , აწესრიგებს რა რეალობის შესახებ ცოდნას ერთიან , დახვეწილ სისტემად. სისტემას კი სისტემური აზროვნება სჭირდება.

მეცნიერება და მეცნიერული ცოდნა ვითარდება. მეცნიერების სწორი მიმართულებით განვითარება ხელს უწყობს საყოველთაო პროგრესს. მეცნიერება მძლავრ მეთოდებს ქმნის , რომელთა მეშვეობითაც ხდება შესაძლებელი არა მხოლოდ ზედაპირული , არამედ სიღრმისეული ცოდნა მივიღოთ.

მეცნიერება ზოგჯერ "ჯადოსნურად" გამოიყურება. მაგალითად ქიმიური გარდაქმნები , იყო დრო , ჯადოქრობა ეგონათ. ასე ეგონათ მათ , ვინც არ იცოდა მეცნიერება და არც სურდა გაიგოს რა და როგორ არის. ხალხი დეზინფორმაციის ჩაკეტილ წრეში იმყოფებოდა და , შესაბამისად , მათთვის მეცნიერება იყო გაუგებარი ან უბრალოდ ტყუილი. ის , ვინც არ იცოდა თუ რა არის სწორი ფილოსოფია , იმყოფებოდა დეზინფორმაციის ჩაკეტილ "სივრცეში" , რადგანაც ფსიქოლიგიურად მზად არ იყო რეალობის ლოგიკურობა დაენახა , შესაბამისად ვერც მათემატიკურ კანონზომიერებათა სიღრმისეულ შინაარსს ვერ ხედავდა , ამიტომაც ფიზიკის ცოდნა არ ჰქონდა სათანადო , შესაბამისად - ვერც ქიმია ესმოდა სათანადო დონეზე , რომ გაეგო , ქიმია ეს ყოფილა თუ არა. ქიმიური რეაქცია ასეთი აზროვნების მქონე ადამიანის თვალში მართლაც იყო "ჯადოქრობა" , შიშისა და გაუგებრობის გამომწვევი მოვლენა. ასეთი ვითარება შუა საუკუნეებისთვის იყო დამახასიათებელი. მაგრამ როდესაც უკეთესისკენ შეიცვალა ხალხის ფილოსოფია - დადგა რენესანსი. აღორძინების ხანა , ამიტომაც , ბევრი მეცნიერული აღმოჩენა-გამოგონებით , პროგრესით , წინსვლით ხასიათდება. ამ დროს მეცნიერება უკვე არ გამოიყურებოდა "ჯადოსნურად" , რადგანაც ხალხის ფსიქოლოგია შეიცვალა , ფილოსოფიამ მეცნიერებისადმი დამოკიდებულება შეცვალა. უცნობი არ უდრის "ჯადოსნურს". ეს იყო მნიშვნელოვანი იმდროინდელი ფილოსოფიური დასკვნა. ფილოსოფია ყოფილა პროგრესის მამოძრავებელი ძალა. ფილოსოფიამ კაცობრიობას მეცნიერული აზროვნების პრინციპები და მიდგომები უკარნახა.

მონაცემთა შეგროვება.

მეცნიერებას განვითარებისთვის და ცოდნის გაღრმავებისთვის საწყისი ცოდნა სჭირდება. ნებისმიერ ამოცანას აქვს პირობა , აქვს მონაცემები. მონაცემთა შეგროვება - საჭირო მეცნიერული ღონისძიებაა.

დაკვირვება როგორც მეცნიერული ღონისძიება საკმაოდ ადვილია - უნდა უბრალოდ უყუროთ პროცესს , მაგრამ სირთულე იწყება მეორე ეტაპზე. მეორე ეტაპია - მონაცემთა სწორი დაფიქსირება და ინტეტპრეტაცია , მეცნიერულად საინტერესოს ამორჩევა მთლიანი დანახულიდან. მერე ამ მეცნიერულად საინტერესო მონაცემთა დამუშავება ხდება მეცნიერული მიდგომის პრინციპების გათვალისწინებით. მერე ხდება დასკვნების გამოტანა.

ექსპერიმენტი - რეალურად იგივე დაკვირვებაა , ოღონდ ამ დროს მკვლევარი (ექსპერიმენტატორი) თვითონ ქმნის საცდელ , საექსპერიმენტო , მეცნიერულად საინტერესო სიტუაციას , დაკვირვების მეთოდისგან განსხვავებით , სადაც მკვლევარი (მაყურებელი) მხოლოდ უყურებს იმას რაც არის მისი ჩარევის გარეშეც.

მონაცემთა წარდგენა სხვადასხვანაირად არის შესაძლებელი. ცხრილები , გრაფიკები , ფორმულები , განტოლებები ამარტივებენ ინფორმაციის გაგება-გააზრებასა და მასთან შემდგომ მუშაობას.

ხანდახან ხდება ირიბი მეთოდების გამოყენებაც. მაგალითად , დედამიწის მასა , თავისთავად , აწონვის გარეშე გახდა ცნობილი. ირიბი მეთოდები საშუალებას იძლევა "ავწონოთ აუწონელი" , ასე ვთქვათ. ამ და სხვა სიტუაციებში , სადაც ირიბი მეთოდები გამოიყენება , საგრძნობლად დიდი როლი აქვს მათემატიკურ გამოანგარიშებებსა და კანონზომიერებებს.

<u>ინდუქცია.</u>

მეცნიერულად საინტერესო მონაცემები ცალკეულ ფაქტებს წარმოადგენენ. ამ ფაქტების სწორი განზოგადოებისა და მეცნიერული კანონზომიერების მისაღებად მიმართავენ ინდუქციას - მეთოდს , როდესაც ინფორმაციის შეჯამება და კერძოდან ზოგად კანონზომიერებაზე ლოგიკური გადასვლა ხდება.

ინდუქცია უცნობი წარმომავლობის მოვლენათა ასახსნელად გამოსადეგი მეთოდია: ხდება ჯერ მასალის , მონაცემთა შეგროვება , მერე მათი ინდუქციური შეჯამება და აქამდე უცნობი კანონის გამოყვანა. რეალურად ხდება კონკრეტულ მაგალითთაგან აბსტრაგირება მათი განზოგადოების მიზნით.

თუ ადამიანის ფსიქოლოგია არაა მზად აქამდე უცნობი კანონზომიერებების აღსაქმელად , ადამიანი ცდილობს მხოლოდ უკვე ცნობილი , "ძველი" ზოგადი დებულებებით ახსნას "ახალი" მოვლენა და უარყოფს უცნობ მიზეზებს როგორც ასეთებს საერთოდ და ამასობაში ჩიხში შედის ან მოვლენათა არასწორ ახსნას იძლევა. ასე იბადება მოვლენათა "ჯადოსნური" წარმოშობით ახსნისკენ მიდრეკილი აზროვნება ან უბრალოდ დეზინფორმაციული ნისლი , რომელიც ხელს უშლის ნამდვილი მიზეზების დანახვასა და მეცნიერების ნორმალურ განვითარებას. ეს ყველაფერი ხაზს უსვამს ინდუქციის როგორც მეცნიერული მეთოდის აუცილებლობას.

<u>დედუქცია.</u>

თუ გვაქვს რაიმე ზოგადი დებულება და მისგან მისი კერძო გამოვლინებებისა და პრაქტიკული მაგალითების მიღება გვსურს - მაშინ გამოსადეგი მეცნიერული მეთოდი გამოდის დედუქცია.

დედუქცია - ზოგადი მიდგომიდან კერძო შემთხვევებზე გასვლაა. ამ დროს კანონზომიერებათა უფრო პრაქტიკასთან დაკავშირება ხდება , დგინდება , როგორ იმოქმედებს ზოგადი პრინციპი კონკრეტულ სიტუაციაში , კონკრეტულ მაგალითში.

თუ იდუქცია არის კერძოდან ზოგადის გამოყვანა , მაშინ დედუქცია არის ზოგადიდან კერძოს გამოყვანა. ეს მეთოდი ძალიან გამოსადეგია ცნობილი კანონზომიერებების ამა თუ იმ კერძო შემთხვევისთვის გამოყენების თვალსაზრისით.

მნიშვნელოვანია ინდუქცია-დედუქციის წყვილური მუშაობა:

- დაკვირვება/ექსპერიმენტი. (შესაძლოა კვლევის ირიბი მეთოდიც).
- მონაცემთა შეგროვება. (მონაცემები კერძოა).
- ინდუქცია. (ზოგადის მიღება ამ კერძო მონაცემებიდან).
- დედუქცია. (უკვე სხვა კერძო მონაცემების მიღება ზოგადიდან , ზოგადი კანონზომიერების სხვა მაგალითებში გამოყენება).
- ახალი მონაცემებითა და კანონზომიერებებით ცოდნის ჰორიზონტის გაფართოება.

ინდუქცია და დედუქცია კონკურენციაში მყოფი კი არა , არამედ ერთმანეთის გვერდიგვერდ მყოფი ერთმანეთთან თავსებადი მეცნიერული მეთოდებია , სადაც ერთი მეორეს ეხმარება და ორივე ერთად ისინი ეხმარებიან კეთილდღეობის მაჩვენებლის მნიშვნელობის გაზრდაში.

ექსტრაპოლაცია.

ექსტრაპოლაცია - ერთ-ერთი მეცნიერული მეთოდია. ის ძალიან მნიშვნელოვანია მეცნიერული ვარაუდების შედგენაში.

ექსტრაპოლაცია - მიზეზის შესახებ სავარაუდო მსჯელობაა მისით გამოწვეული შედეგის კვლევის საშუალებით. ხშირად ამ დროს მიზეზი ჩვენი "მხედველობის" მიღმა რჩება და მხოლოდ მისი შედეგის შესწავლა არის შესაძლებელი და ამ შესწავლაზე დაყრდნობით შესაძლებელი ხდება ვარაუდების შედგენა თვითონ მიზეზის შესახებ. ეს შესწავლის , როგორც ვატყობთ , ირიბი მეთოდია.

მათემატიკაში ექსტრაპოლაციას სხვა მნიშვნელობაც აქვს: ეს არის გრაფიკის ხაზის ლოგიკური გაგრძელება სხვა მნიშვნელობამდე , სხვა კოორდინატულ წერტილამდე. ასე მაგალითად ახალი x-ის შესაბამის y-ს გრაფიკულად პოულობენ , როცა ეს x და მისი შესაბამისი y არ იყო მოცემული. ექსტრაპოლაცია - გრაფიკის (ფუნქციის გრაფიკის) გაგრძელებაა. გრაფიკი კი , თავის მხრივ , პროცესის კანონზომიერების ერთგვარ მოდელს , წარმოდგენის საშუალებას იძლევა. ასე მათემატიკური ექსტრაპოლაცია ეხმარება მკვლევარს უკეთ გაიგოს პროცესის მიმდინარეობა. აღსანიშნავია , რომ y=f(x) კანონზომიერება , ანუ მათემატიკური ფუნქცია , არის x-ისა და y-ის ერთგვარი კავშირი , სადაც კავშირი აღიწერება f-ფუნქციით. შეიძლება ითქვას , რომ f-სიტუაციაში x-მიზეზი არის y-შედეგის მომცემი. ხოლო ამ y-თა შესაბამის x-ებში გადასვლის სიტუაცია (სხვა ფუნქცია , ვთქვათ g) "x=>y"-გადასვლის პროცესს შექცევადს ხდის. ჩნდება "y=>x"-გადასვლის სიტუაცია ანუ x=g(y). ეს შეიძლება ასე ჩაიწეროს , შემდეგი აღნიშვნებით: $g=f^{-1}$ და $f=g^{-1}$.

ანალოგია.

ანალოგია ასევე მეცნიერული მეთოდია. ის აბსტრაგირებასა და სხვადასხვა , განსხვავებულ ობიექტსა თუ მოვლენაში ერთმანეთის მსგავს ნიშან-თვისებათა მოძებნას , პარალელის გავლას ნიშნავს.

ანალოგიური მსგავსება სიმრავლეს ქვესიმრავლეებად ყოფს , რაც კლასიფიკაციის საფუძველია. კლასიფიცირება კი ინფორმაციის , მონაცემების აღქმას ამარტივებს , მკვლევარს ასე შეუძლია უფრო ადვილად და უკეთ გაერკვიოს კვლევის ობიექტთა შესახებ ცოდნის სიღრმეებში. ასე ცოდნა უფრო ღრმავდება , თავს უკეთ იჩენს სისტემური აზროვნება.

ანალოგია ასევე განმასხვავებელ ნიშან-თვისებათა დანახვაშიც გვეხმარება , მკვლევარი ხედავს ორ ცნებას , "ანალოგსა" და "იდენტურ ასლს" შორის აშკარა განსხვავებას.

ანალოგია სიტუაციურ აზროვნებაში , სიტუაციათა მოდელირებაში გვეხმარება. ასე იქმნება წარმოდგენა უცნობ შემთხვევაში უკვე ცნობილი რაღაცის წარმატებული გამოყენების შესახებ.

ანალოგია პროცესთა და კანონზომიერებათა მოდელირებაში გამოსადეგია. ხშირად უფრო ადვილი , გამარტივებული მოდელი უფრო რთული პროცესის ანალოგად მოდის და ამ ანალოგიას ეფუძნება ამ რთული პროცესის მოდელირება.

არსებობს მასშტაბური ანალოგიაც , როცა საკუთრივ პროცესი და მისი ანალოგი მასშტაბით განსხვავდება ერთმანეთისგან.

კანონზომიერება.

მეცნიერული მეთოდის ერთ-ერთი მიზანია კანონზომიერებათა დანახვა და მათი შემდგომი შესწავლა.

კანონზომიერება ეს არის ერთგვარი წესი , კანონი , რომლის მიხედვითაც წარიმართება ესა თუ ის პროცესი. კანონზომიერება და მიზეზ-შედეგობრივი დაკავშირება , მათი ლოგიკური , მეცნიერული გააზრება და სწორი ინტერპრეტაცია არის მეცნიერული პროგნოზირების საფუძველი. მაგალითად , ყველასთვის კარგად ცნობილი ამინდის პროგნოზი - სწორად მეცნიერული პროგნოზირების მაგალითია.

კანონზომიერებების სახით მეცნიერული ცოდნის წარმოდგენა რეალობის აღქმას ამარტივებს. ცალკეული ფაქტები ერთიან , დახვეწილ სისტემად წარდგება მკვლევარის წინაშე. სისტემურად დალაგებულ მონაცემთა ანალიზი კი უფრო ადვილია ვიდრე მონაცემთა მოუწესრიგებელი გროვისა.

კანონზომიერებათა შორის ანალოგიის დანახვა კი კანონზომიერების უკეთეს შესწავლაში გვეხმარება. ასე ვითარდება და ღრმავდება მეცნიერება.

კანონზომიერება მათემატიკურად მიმდევრობას ან ფუნქციას წარმოადგენს. ფუნქცია y=f(x) შეიძლება იყოს კანონზომიერების მოდელი. და ამ ფუნქციის ექსტრაპოლაციით შესაძლებელია კანონზომიერი ობიექტების ან მოვლენების (რომლებიც წარმოდგენილია კანონზომიერებაში) მეცნიერული პროგნოზირება. პროგნოზირება მიზეზ-შედეგობრივი კავშირების შესწავლით იწყება. მეცნიერება ვარაუდების შედგენისა და ჭეშმარიტების დანახვის მძლავრი საშუალებაა.

ობიექტური ჭეშმარიტება.

რას უდრის 3+4? წარმოიდგინეთ , რომ პასუხს 5 ადამიანი იძლევა , მაგრამ არცერთმა არ იცის მათემატიკა. მაგალითი თითქოს უცნაურად ჟღერს , მაგრამ კარგად ასახავს თემის მთავარ სათქმელს:

1. **3+4=5**
2. **3+4=8**
3. **3+4=6**
4. **3+4=3+4 , დარჩება როგორც იყო.**
5. **3+4= არაფერს. პასუხი არ არსებობს ან უცნობია ჩვენთვის.**

როგორც ხედავთ , პასუხები ძალიან მრავალფეროვანია. მაგრამ განურჩევლად იმისა , არსებობენ თუ არა ეს 5 ადამიანი ან რა აზრის არიან ისინი ამ მოცემული მათემატიკური მაგალითის ამოხსნაზე , 3+4=**7**. და ეს არის **ობიექტური ჭეშმარიტება**.

ობიექტური ჭეშმარიტების თვისებებია:

- არაა დამოკიდებული მაყურებელზე (ჭეშმარიტების შემცნობზე).
- არაა დამოკიდებული მკვლევარზე (ჭეშმარიტი ცოდნის აღმომჩენზე).
- არაა დამოკიდებული კვლევაზე. მთავარია კვლევა სწორი იყოს.
- არაა დამოკიდებული ამ ჭეშმარიტების მთქმელზე.
- არაა დამოკიდებული ჩვენი მის შესახებ ცოდნაზე.

თუ გვაქვს ინფორმაციის ორი (მინიმუმ ორი) წყარო , A და B , და ყოველი მათგანი საკუთარი თავის შესახებ ამბობს "მე ჭეშმარიტებას ვამბობ" და ამასობაში რაიმე ინფორმაციას იძლევა , მაშინ შეუძლებელია A ეწინააღმდეგებოდეს B-ს , ისინი ან სხვადასხვა თემატიკის ერთმანეთთან გადაკვეთაში არ მყოფ მონაცემებს (ანუ პარალელურ ინფორმაციას) იძლევა ან თანხვედრაში არიან აუცილებლად. მაგრამ ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციის მომცემი შეუძლებელია იყვნენ. **ჭეშმარიტება არ ეწინააღმდეგება ჭეშმარიტებას**. თუ აღმოჩნდა რომ A და B ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს - მაშინ ან A , ან B , ან არც ერთი და არც მეორე ყოფილა ჭეშმარიტი ინფორმაციის მომცემი. მაშინ ინფორმაციის სხვა წყაროს მეშვეობით შემოწმება არის საჭირო. ინფორმაცია კი , როგორც უკვე ვიცით , კრიტიკულ მიდგომას მოითხოვს. მეცნიერება ლოგიკურად , კრიტიკულად , ანალიტიკურად , აბსტრაქტულად და კონსტრუქტიულად მსჯელობს ინფორმაციის ობიექტურობასა და ჭეშმარიტებაზე , ობიექტურ ჭეშმარიტებაზე. ობიექტური ჭეშმარიტების აღსაქმელად ფსიქოლოგიური მზად ყოფნა არის საჭირო. ამ მზად ყოფნას კი სწორი ფილოსოფია უზრუნველყოფს. ობიექტური ჭეშმარიტების შემეცნება დეზინფორმაციის ნისლს აშორებს.

სწორ ფილოსოფიაში ობიექტურ ჭეშმარიტებას ძალიან დიდი როლი აქვს. ობიექტური ჭეშმარიტების ძებნა - მეცნიერული მიდგომაა. წიგნის პირველ თავში კი ეწერა ობიექტურ ფილოსოფიურ ანალიტიკაზე. ობიექტური ჭეშმარიტების მნიშვნელოვანი ცნების გარეშე ობიექტური ფილოსოფიური ანალიტიკაც ვერ იარსებებს...

მეცნიერულ მიდგომათა მნიშვნელობა მხოლოდ მეცნიერების სფეროთი არ შემოიფარგლება. ის და მისი იდეები ბევრ სფეროში , ყოფა-ცხოვრებაშიც , განოიყენება.

<u>ინსტინქტები.</u>

ჩვენ ბევრი რამ გვითქვამს ფსიქოლოგიაზე , ფსიქოლოგიურ მზად ყოფნაზე... ფსიქოლოგია ძალიან საინტერესო რამ არის. და ჩვენი ფსიქოლოგია მჟღავნდება ქცევაში.

ახლა ავიღოთ კვლევის სამი ობიექტი. "ობიექტები" , რომლებიც ფაქტობრივად ქმნიან ჩვენს ფსიქიკას. ესენია:

- ინსტინქტები.
- გრძნობები.
- გონი.

დავიწყოთ ინსტინქტებით: ინსტინქტი ეს უპირობო რეაქციაა , გაუაზრებელი , თავდაპირველი და საბაზისო ქცევა. ინსტინქტები საკმაოდ მძლავრია და ძლიერი , მათი უგულებელყოფა კონსტრუქტიული არაა. კონსტრუქტიულია მათი სწორი გამოყენება.

ინსტინქტების , ისევე როგორც ზოგადად ფსიქოლოგიის შესასწავლად გამოსადეგ მოდელად გამოდის მაიმუნი ან , მაგალითად ლემური. მათი ქცევა ბევრ ასპექტში ადამიანისას წააგავს. თუმცა ამ მიზნისთვის სხვა ცხოველებიც გამოსადეგია. ასე ბევრი რაღაცის სხვა კუთხით უფრო ღრმა გააზრება ხდება შესაძლებელი.

ადამიანს აქვს ინსტინქტები. ეს უნდა იყოს გათვალისწინებული. აქ მთავარია ამ ინსტინქტების შემეცნება და სწორი გამოყენება , სწორი სარგებლობა ამ საბაზისო ქცევის გამოვლინებით.

გრძნობები.

გრძნობები ინსტინქტებთან შედარებით უფრო გააზრებულია. გრძნობები არის ემოციათა საფუძველი. ემოცია , თავის მხრივ , უფრო რთული და კომპლექსური რეაგირებაა. სხვის გრძნობათა და ემოციათა სწორ აღქმასა და საკუთარ გრძნობათა და ემოციათა სწორ გამოვლინებაზე პასუხისმგებელია **ემოციური ინტელექტი**.

ადამიანს აქვს გრძნობები და ემოციები. ეს ფაქტია. საჭიროა გრძნობათა და ემოციათა სპექტრით სწორი სარგებლობა , ემოციური ინტელექტის მწყობრში მოყვანა , ჯერ გაცნობიერება იმისა ემოციური ინტელექტი არსებობს და რომ ის მნიშვნელოვანია.

გრძნობათა და ემოციათა სპექტრის სწორი გამოვლინება კონსტრუქტიულია.

გონი.

გონი - გააზრებული ფსიქოლოგიური ქცევის წყაროა. გონის გარეშე შეუძლებელია ფილოსოფია , მეცნიერული მიდგომები , პროგრესი , საყოველთაო და პირადი რენესანსი!.. გონი მნიშვნელოვანი რამ არის...

თუმცა მხოლოდ გონი , როგორც ვნახეთ , არაა ჩვენი ფსიქოლოგიის საფუძველი. ინსტინქტებთან და გრძნობებთან ერთად გონის სწორი გამოყენება , ტვინით სწორი სარგებლობა არის კონსტრუქტიული.

ინსტინქტების , გრძნობებისა და გონის ურთიერთქმედება ქმნის ფსიქიკას. ამასთან ერთად არსებობს ცნება "ქვეცნობიერი" , ეს ის "უბანია" ჩვენს ფსიქიკაში , ცნობიერებისგან განსხვავებით , რომელსაც ჩვენ ვერ ვამჩნევთ ასე აშკარად , ის ჩვენი აღქმის მიღმა რჩება თუმცა ისევ და ისევ ინსტინქტებს , გრძნობებსა და გონს ეფუძნება , უბრალოდ სხვა სახე აქვს ამ სამის ურთიერთქმებასა და ფუნქციონირებას ამ "უბანში". ეს უბანი ნაკლებად კონტროლირდება ცნობიერების მიერ. ქვეცნობიერ "უბანში" შეიძლება შიში , შფოთვა იმალებოდეს.

დემაგოგია.

ჩვენ დავინახეთ , რამხელა მნიშვნელოვანი ყოფილა ფილოსოფია , ფსიქოლოგია , ლოგიკა , სხვადასხვა სფეროში ცოდნა... და იცოდით თუ არა , რომ არსებობს დემაგოგია? დემაგოგია საშიში მოვლენაა! დემაგოგი - პიროვნებაა , რომელიც აბნევს , ატყუებს , არასწორი , შეცდომის შემცველი ლოგიკური მსჯელობით არასწორ დასკვნას სთავაზობს დემაგოგიის მსხვერპლს და არწმუნებს მას რომ ეს ჭეშმარიტად ასეა. დემაგოგი შეგნებულად მოქმედებს , თუმცა შეიძლება იყოს შემთხვევებიც როცა ადამიანს მართლა ეშლება და სხვასაც ეუბნება არასრორ რაღაცებს , უნებლიეთ. ნებისმიერ შემთხვევაში , რომ არ გავხდეთ დემაგოგიის მსხვერპლი , ისევ და ისევ უნდა კარგად ვიცოდეთ ლოგიკა და მისი კანონები , კრიტიკულად მივუდგეთ ინფორმაციას , უნდა ვერკვეოდეთ მცირედით განსხვავებულ ლოგიკურ ჯაჭვთა ერთმანეთისგან გარჩევაში , უნდა ღრმად და კარგად ესმოდეს ვერბალური ლოგიკის ნატიფი ნიუანსები. ვერბალური ლოგიკა - მსგავს სიტყვებს , სინონიმებს შორის ნატიფი განსხვავების დანახვას , წინადადების შინაარსის ღრმა გააზრებას , გრამატიკის , კავშირთა , ნაწილაკთა მნიშვნელობის ცოდნას , ამ ყველაფრის გააზრებას ეფუძნება.

"ავტოდემაგოგია".

ამა თუ იმ მიზეზის გამო ლოგიკურად არასწორად მოაზროვნე ადამიანი , თუ ის კულტივირებს ამ არასწორ ლოგიკას საკუთარ თავში , ხდება საკუთარივე თავის დემაგოგი , ასე ვთქვათ - "ავტოდემაგოგი". ის სხვებისთვისაც შეიძლება დემაგოგი გახდეს , თუ გაავრცელებს ცრუ მოსაზრებებს. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ის არალოგიკურად მსჯელობს , ხოლო ლოგიკა რამხელა მნიშვნელოვანიც ყოფილა - ჩვენ უკვე ვიცით. ზოგჯერ არასწორი ლოგიკა და მისით გამოწვეული ცდომილებები ღრმადაა ჩამჯდარი აზროვნების აწყობაში , ყოველდღიურ ცხოვრებაში , ქცევაში , აზრებში. არასწორი აზროვნება ბევრად უფრო საშიშია ვიდრე ზოგს შეიძლება ეგონოს.

ჩნდება კითხვა , როგორ დავეხმაროთ "ავტოდემაგოგს"? ის "თავისი ლოგიკის სამყაროში ცხოვრობს" , ჭეშმარიტი ლოგიკა მისთვის უცხოა , ისევე როგორც სწორად ლოგიკურად მოაზროვნეებისთვის მისი "ლოგიკა". პირდაპირი ახსნით დახმარების გაწევა ნაკლებად საალბათოა , ნაკლები ალბათობით არის შედეგის მომტანი. როგორღა ავუხსნათ "ავტოდემაგოგს" რომ ის ცდება? პირველ რიგში საჭიროა შემდეგი: საჭიროა მას ფსიქოლოგიური მზად ყოფნა ჰქონდეს , სურვილიც უნდა ჰქონდეს გაიგოს რომ ცდება და რაშიც ცდება , უნდა კრიტიკული აზროვნება ჰქონდეს , რომ მიუდგეს კრიტიკულად ამ არალოგიკურ , მცდარ აზრებს. მერე კი ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა აუხსნათ ასეთ ადამიანს სწორი ლოგიკა. ეს ყველაფერი - საკმაოდ დიდი შრომაა , როგორც "ავტოდემაგოგის" , ასევე იმისა , ვინც მას ეხმარება ლოგიკურად სწორი აზროვნების ათვისებაში. ფსიქოლოგიურ მზად ყოფნაში ადამიანს სწორი ფილოსოფია ეხმარება , სწორი ფილოსოფიის სწავლება კი , სხვამ რომ აითვისოს , რთული პროცესია და ფილოსოფოსთა შრომაზე საუბარი უკვე იყო წიგნის დასაწყისში. ამიტომაც დიდი მნიშვნელობა აქვს ფილოსოფიურ ნაშრომებს , ფილოსოფიურ მოღვაწეობას. ადამიანის აზროვნების სტილის უკეთესისკენ შეცვლა სულაც არაა მარტივი საქმე! რასაც ჰქვია "სახეში" პირდაპირი თქმით რომ ადამიანი ცდება - ამას ვერ შეცვლით დიდი ალბათობით. ის ალბათ ვერც მიხვდება სად და რაში ცდება... აქ საჭიროა ძირფესვიანი დაფიქრება , "ნაზი" მეთოდებით ახსნა და არა პირდაპირი "დაჯახება" ინფორმაციის ნაკადით.

კოგნიტიური მიკერძოებები.

კოგნიტიური მიკერძოებები - რეალობის აღქმის პატარა "ცდომილებებია" , რომლებიც ობიექტური ჭეშმარიტების დანახვას ართულებენ. ისინი ბევრნაირი არსებობს. ვითომ პატარებია და უვნებელი , მაგრამ ფრთხილად უნდა ვიყოთ! კოგნიტიური მიკერძოებების არსებობისა და გამოვლინების შესახებ არცოდნისას , კრიტიკული აზროვნების ნაკლებობისას ან არარსებობისას , ადამიანის ფსიქოლოგია შეიძლება მიკერძოებების "ტყვე" გახდეს. ჩნდება "ავტოდემაგოგიის" მსგავსი სიტუაცია. ასეთ ადამიანს შეიძლება როგორც "ავტოდემაგოგიის" შემთხვევაში , ასეთი მეთოდით დავეხმაროთ.

კოგნიტიური მიკერძოებები ასე თუ ისე ყველას (ან თითქმის ყველას , არაა დიდად არსებითი) ახასიათებს , მთავარია მათი მავნებლობისგან დაცული ვიყოთ. როგორ? ცოდნა იძლევა ამ ძალას. ცოდნას კი სწორი ფილოსოფია იძლევა. სწორ ფილოსოფიას - თვითონ რეალობა იძლევა. რეალობის სწორი და ადექვატური შესწავლა კი ხდება მეცნიერებათა გამოყენებით. მეცნიერებათა გამოყენება მეცნიერული მიდგომების გამოყენებით ხდება , მეცნიერულ მიდგომათა და ზოგადად მეცნიერებათა და რეალობის შესაცნობად ისევ და ისევ ფილოსოფია არის საჭირო , რომელიც ადამიანს სწორი ინფორმაციის აღსაქმელად , ცვლილებების

ადექვატურად აღსაქმელად ფსიქოლოგიურად მზადს ხდის. სწორი ინფორმაციის აღსაქმელად მზად მყოფ ადამიანს კოგნიტიური მიკერძოებების არ უნდა ეშინოდეს.

დრო. წარსული , აწმყო , მომავალი.

რას წარმოადგენს დროის დინება პრაქტიკულად? დროის დინება - მიმდევრობაა მოვლენებისა , რომელიც რეალობას ქმნის. მიმდევრობას აქვს მიმართულება , ისეთი როგორც ვთქვათ ციფრებს: 0 , 1 , 2 , 3 , 4 , 5 და ა.შ. ანუ 2 , მაგალითად , დგას 1-ის მერე მაგრამ 3-მდე. 4 - 3-ის მერეა მაგრამ 5-მდე დგას. სულ 10 ცალია ციფრი და მათი მიმდევრობა შეიძლება ითქვას , პირობითად მიმართულია ზრდადობის პრინციპით 0-დან 9-ის ჩათვლით. ასეთი მიმართული მიმდევრობა ერთგვარ ვექტორს წარმოადგენს. დრო ფიზიკურად სკალარული სიდიდეა , თუმცა ამ ზემოთ აღნიშნულ პრინციპზე დაყრდნობით შეიძლება ვთქვათ , რომ დროის დინება - ვექტორია , წარსულიდან მომავლისკენ მიმართული. არ დაგვავიწყდეს , რომ არსებობს მიზეზ-შედეგობრივი პრინციპები. მაგრამ რა არის წარსული და მომავალი? ჯერ ვთქვათ რა არის აწმყო.

აწმყო - აწ მყოფია , ის რაც ახლა არის. ისევ თუ ციფრების ანალოგიას მივყვეთ , დავუშვათ 4 არის აწმყო. წარსული კი მის მიმართ არის 0 , 1 , 2 , 3 - რადგანაც 4-თან (აწმყოსთან) შედარებით ისინი ვექტორის დინების მიმართულების საპირისპირო მხარეს იმყოფებიან. წარსული - წასულია , გასული ციფრები. მომავალი კი ისაა რაც მოდის მერე , 4-ის შემდეგ მყოფი , ვექტორის მიმართულებით , ანუ 5 , 6 , 7 , 8 , 9. ეს ციფრებია , ხოლო რიცხვთა მწკრივი უსასრულოდ გრძელდება.

ამ ციფრულ რიგს ფორმულის სახით წარმოვიდგენთ: **$a_{n+1} = a_n + 1$, სადაც a_n - აწმყოა , a_{n+1} - მომავალი , n - რიგითი ნომერია**. ასე ჩანს , რომ ყოველი მომდევნო წევრი მის წინა წევრზე 1-ით მეტია. ჩანს მიმართულებაც , a_n-დან a_{n+1}-კენ. ანუ ჩნდება მომავლის პროგნოზირების მეცნიერული საფუძველი , კანონზომიერების შესწავლა. ჩავიხედოთ წარსულში. ჩავწეროთ ჩვენი სამოდელო კანონზომიერების ფორმულა , რომელიც აწმყოსა და წარსულს აკავშირებს. გამოვიყვანოთ:

- $a_{n+1} = a_n + 1$
- $a_n = a_{n+1} - 1$. ფორმულა მიღებულია , მაგრამ აღნიშვნათა შეცვლა მას უფრო ბუნებრივ სახეს მისცემს , ნახეთ შემდეგ პუნქტში.
- შევცვალოთ აღნიშვნები შემდეგი წესის მიხედვით , რომ ჩანაწერი უფრო გასაგები იყოს: $n = m - 1$ და შესაბამისად $n + 1 = m$. ასეთი აღნიშვნებით წინა პუნქტში მიღებული ფორმულა გახდება შემდეგი: **$a_{m-1} = a_m - 1$** და ესაა ის , რისი დანახვაც გვინდოდა: a_{m-1} - წინა ობიექტია , a_m - აწმყოში მყოფი , m - რიგითი ნომერია. კაბონზომიერება გვიჩვენებს , რომ ყოველი წინა წევრი თავის მომდევნო წევრზე 1-ითაა ნაკლები.

ჩვენ ვიცით , რას ნიშნავს მიზეზ-შედეგობრივი პრინციპი. ჩვენ ვიცით , რას ნიშნავს დროის დინება. ჩვენ ვიცით რა არის კონსტრუქტიული აზროვნება. ვიცით , რა არის კანონზომიერება , ვიცით რომ ბედი არ არსებობს. ჩვენ ვიცით რა არის რეალობა და ვიცით ის , რომ რეალობის შეცვლა შეგვიძლია. ამ ყველაფერზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ , რომ ჩვენ მომავლის შექმნა შეგვიძლია , კარგი და კეთილდღეობის მომტანი მომავლისა!

ბედი არ არსებობს.

ჩვენ ეს უკვე გვითქვამს. ბედი არ არსებობს. მაგრამ მაინც ბევრი ადამიანი , ამა თუ იმ , მათი აზრით ჭეშმარიტი , მიზეზის გამო ფიქრობს , რომ ბედი არსებობს.

ბედის არსებობის ილუზია შეიძლება კოგნიტიური მიკერძოება , დემაგოგიით განპირობებული ილუზია , "ავტოდემაგოგია" იყოს , მაგალითად.

ის ვისაც სჯერა ბედის , ალბათ არ ზრუნავს მომავალზე: რა აზრი აქვს ზრუნვას კეთილდღეობაზე , თუ ისედაც ყველაფერი წინასწარ დაგეგმილია , ფიქრობს ასეთი ადამიანი. ასეთ ადამიანს ფატალისტი ეწოდება. ფატალიზმი არასწორი ფილოსოფიაა. არამხოლოდ არასწორი! ის დესტრუქტიულია! თუ ფატალისტი არ ზრუნავს კეთილდღეობაზე , რა გარანტია ან რა ალბათობა აქვს კეთილდღეობის მიღწევისა?! გამოდის , რომ არც არჩევანის უფლება გვაქვს , თუ ისედაც წინასწარ ყველაფერი არის ბედით არჩეული და ბედისწერით გაწერილი? საიდან უნდა მოვიდეს კაცობრიობის კეთილდღეობა და რენესანსი , თუ კაცი არ ცდილობს ამ ყველაფრის მიღწევას? ჩვენი მომავალი ჩვენს ხელშია! ჩვენს ხელშია აწმყო , ხოლო მომავალი - აწმყოდან გამოდის. სწორი მომავლის შესაქმნელად უნდა საღად , კრიტიკულად მივუდგეთ წარსულს , შევაფასოთ მისი პლუსები და მინუსები. წარსულის გამოცდილების სწორ შეფასებაში ობიექტურად ჭეშმარიტი ისტორია გვეხმარება. ისტორია - მნიშვნელოვანი მეცნიერებაა. ისტორიის მეცნიერული ანალიზი (მეცნიერული მიდგომებით , ლოგიკით , კრიტიკული ხედვით , ანალიტიკით , აბსტრაგირებით , კონსტრუქტიული კუთხით შედარებითი შეფასებით) კი გვეხმარება ვივარაუდოთ ალტერნატივებზე , ანუ "რა , სავარაუდოდ , იქნებოდა , თუ..." , ეს გვეხმარება უკეთ გავიგოთ მიზეზ-შედეგობრივი კავშირები რეალობის განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე , ასე უკეთ იკვეთება კანონზომიერებანი. ეს კი გვეხმარება კეთილდღეობით სავსე მომავლის კონსტრუქტიულ აშენებასა და რენესანსის მიღწევაში. კანონზომიერებები ვარაუდებისა და პროგნოზირების მეცნიერული საფუძველია , ასე უფრო ადვილი ხდება მომავლის დაგეგმვა და კონსტრუქტიულ კალაპოტში წაყვანა.

<u>ადამიანი თავისუფალი არსებაა!</u>

<u>ქცევა.</u>

ქცევა საინტერესო რამ არის. ფილოსოფია ფსიქოლოგიაზე ახდენს გავლენას. ფსიქოლოგია ქცევის სახით ვლინდება. კონსტრუქტიული ფსიქოლოგია კი - ვლინდება კონსტრუქტიული ქცევის სახით. კონსტრუქტიული ქცევა - კეთილდღეობის საფუძველია. კეთილდღეობა კი - სწორი ფილოსოფიის მიზანია. გამოდის , რომ კონსტრუქტიული ფსიქოლოგიის გარეშე სწორი ფილოსოფია მოქმედი ვერ იქნება. ფილოსოფიის მოქმედება კი ვლინდება ქცევის სახით. ქცევა საბოლოო ჯამში მომავალს უკეთესისკენ ცვლის.

ქცევა არის მოქმედება. მაგრამ ქცევას მეორე მნიშვნელობაც აქვს: ქცევა ეს არის მოქმედებათა ე.წ. პატერნი , ერთგვარი ქცევითი ტიპაჟი , და როგორც აშკარად ჩანს , ადამიანთა ქცევის პატერნები ვარირებს , მაგრამ ნუთუ ყოველი პატერნი არის კეთილდღეობის მომტანი? ნუთუ ყოველი პატერნი არის კონსტრუქტიული? არა! კეთილდღეობის მომტანი პატერნი კონსტრუქტიულია , მაგრამ კონსტრუქტიული პატერნის ფილოსოფიური საფუძველი რა არის? სწორი ფილოსოფია , რომლის შესახებ არაერთი სიტყვა უკვე გვითქვამს.

ზოგადად სხვადასხვა ფილოსოფია არსებობს. მაგრამ ვინ თქვა რომ ყოველი ამ ფილოსოფიათაგან არის სწორი? პირიქით , სწორი ფილოსოფია საკმაოდ კონკრეტული რამ არის , რეალობისგან გამომდინარე.

<u>საზოგადოება.</u>

ადამიანი საზოგადოების შემადგენელი ნაწილია. ადამიანები ქმნიან საზოგადოებას , არსებობენ საზოგადოებაში და იმყოფებიან ერთმანეთთან კერძოდ და მთლიან

საზოგადოებასთან ზოგადად საგრძნობ ურთიერთქმედებაში. სოციუმი - საზოგადოების სინონიმია.

ოჯახი - ასევე საზოგადოებაა , საზოგადოების ერთ-ერთი ვარიანტია. საზოგადოება ბევრნაირი არსებობს: ოჯახი , კოლექტივი სამსახურში , მოქალაქეები , მრავალსართულიანი სახლის სამეზობლო , მეგობრული წრე და სხვა - ეს ყველაფერი საზოგადოების მაგალითებია.

საზოგადოებას აქვს მოთხოვნები. საზოგადოება , ისევე როგორც თვითონ მისი წევრები , მიისწრაფვის კეთილდღეობისკენ და ასევე რენესანსისკენ. საზოგადოების კეთილდღეობა და მისი კეთილდღეობის მაჩვენებლი პირდაპირ კავშირშია ამ სოციუმში სწორი ფილოსოფიის დამკვიდრებასთან და ამ ფილოსოფიით განპირობებულ კონსტრუქტიულ ქცევასთან. სწორად ამ კონსტრუქტიული ქცევის მეშვეობით რენესანსის , აღორძინების ალბათობა იზრდება. სოციუმის კეთილდღეობა და რენესანსი დადებით გავლენას ახდენს საზოგადოების წევრებზე , ასევე საზოგადოების კონკრეტულ წევრთა კეთილდღეობა და პირადი რენესანსი დადებითად მოქმედებს მთლიან სოციუმზე.

საზოგადოება - რეალობის ნაწილია.

<u>პროსოციალური ქცევა.</u>

პროსოციალური ქცევა - ქცევაა საზოგადოების , როგორც მთლიანობის , საკეთილდღეოდ. გამოდის , რომ პროსოციალური ქცევა უნდა კონსტრუქტიული და სწორ ფილოსოფიასთან თანხვედრაში მყოფი იყოს , რომ იყოს კეთილდღეობის მომტანი.

სოციუმი ერთიან , ერთობლივ "მექანიზმს" წარმოადგენს. და ამ მექანიზმს აქვს თავისი მოთხოვნები. პროსოციალური ქცევა მხოლოდ ადამიანთათვის დამახასიათებელი არაა. მაგალითად , ჭიანჭველების ოჯახი - ნამდვილი საზოგადოებაა , სადაც პატარა არსებების დიდი შრომა ერთმანეთის დახმარებითურთ დიდ საქმეს ასრულებს. ჭიანჭველათა ოჯახის კეთილდღეობა კავშირშია მათ პროსოციალურ ქცევასთან. ბუნება მშვენიერ მაგალითს იძლევა.

<u>ინდივიდუალიზმი და სოციალურობა.</u>

საზოგადოება წევრებისგან შედგება. ამ წევრებს შეიძლება ინდივიდებიც ვუწოდოთ. საზოგადოება - ინდივიდთა სიმრავლეა. ინდივიდს როგორც თვითკმარ არსებას ახასიათებს ინდივიდუალიზმი , მაგრამ ინდივიდს როგორც სოციუმის შემადგენელ ნაწილს - სოციალურობა ახასიათებს. ინდივიდუალიზმში ადამიანს საკუთარი თავის შეცნობა ეხმარება , ხოლო სოციალურობაში - სოციალიზაცია.

ინდივიდუალიზმში აღსანიშნავია:

- გაცნობიერება , ვინ ვარ **მე**.
- საკუთარი ცხოვრებისეული პრიორიტეტების , ფასეულობებისა და ღირებულებების შეცნობა მათი მიზეზებითურთ (ანუ "რა არის მნიშვნელოვანი ჩემთვის და რატომ , საიდან მაქვს ამაზე ასეთი წარმოდგენა?").
- საკუთარი სურვილების შეცნობა. რეალიზაციის გეგმითურთ.
- საკუთარი მოთხოვნების შეცნობა. მოთხოვნათა დაკმაყოფილების გზების შეცნობა.
- გაცნობიერება იმისა , თუ "რამდენად ვარ მე სწორი ფილოსოფიის მიმდევარი? შუა საუკუნეების ადამიანს ვგავარ თუ რენესანსის ეპოქის წარმომადგენელს და რატომ? რა უნდა ვქნა რომ პირადულ რენესანსს მივუახლოვდე?"

სოციალურობაში აღსანიშნავია:

- რა სოციუმის წარმომადგენელი ვარ?

- რამდენად მნიშვნელოვანია ჩემთვის და სოციუმისთვის ჩემი ამ სოციუმში ყოფნა?
- რა ფუნქცია მაქვს ამ სოციუმში? რა აუცილებლობა აქვს ამ ფუნქციას?
- რა უფლებები მაქვს ამ სოციუმში? და რატომ?
- რა მოვალეობები მაქვს ამ სოციუმში? და რატომ?
- რა მოთხოვნები აქვს ამ სოციუმს და რატომ?
- რა შემიძლია ვქნა ამ სოციუმისთვის?
- რა მინდა ვქნა ამ სოციუმისთვის?
- რამდენად ახლოსაა ეს სოციუმი რენესანსთან? ჰგავს თუ არა ის აღორძინების ეპოქის იდეების მატარებელს თუ უფრო "ბნელ" შუასაუკუნეებისეულ იდეებს ატარებს? რატომ? რა არის ამის მიზეზი?
- რა უნდა მოხდეს , რომ საზოგადოება რენესანსს მიუახლოვდეს? რა შემიძლია ვქნა და რა მინდა ვქნა ამისთვის?
- რა ფასეულობები , ღირებულებები და პრიორიტეტები აქვს საზოგადოებას და რატომ? რამდენად ახლოსა ისინი ჩემს შეხედულებებთან? როგორ მოვიქცე ამ სიტუაციაში?
- რამდენად კომფორტულად ვგრძნობ თავს ამ სოციუმში?

ინდივიდუალიზმი და სოციალურობა - ერთმანეთის გვერდიგვერდ მყოფია. ადამიანს უნდა შეეძლოს ამ ორს შორის კონსტრუქტიული ბალანსის დაჭერა.

<u>რაში გვჭირდება ცოდნა?</u>

ცოდნა - უზარმაზარი ძალაა და შესაძლებლობათა მომცემი წყაროა! ცოდნა წყაროა , მაგრამ საკუთრივ ცოდნის წყარო რა არის , საიდანაც მოდის ცოდნა? ზოგადად ცოდნის წყაროები ბევრია , მაგალითად წიგნები , მაგრამ კრიტიკული აზროვნება გვმართებს , საჭიროა მიღებული ინფორმაციის ღრმა გაანალიზება.

რაში გვჭირდება ცოდნა? ძირითადად მისი გამოყენებისთვის პრაქტიკაში , რეალობის შესახებ სწორი წარმოდგენების შესაქმნელად.

ცოდნა - პროგრესის განმაპირობებელია. ცოდნის კონსტრუქტიული გამოყენება ადამიანს რენესანსთან აახლოებს. ცოდნა რეალობის უკეთესისკენ შეცვლის საშუალებას იძლევა.

ცოდნის წყარო - თვით რეალობაა. სწორი ფილოსოფია რეალობას ეფუძნება , სწორი ცოდნა - რეალობის სწორი შემეცნებიდან გამომდინარეობს.

მეცნიერული მიდგომები , პირდაპირი თუ ირიბი კვლევა , მეცნიერული მეთოდები , ლოგიკა , კრიტიკა , ანალიზი , აბსტრაგირება და ამ ყველაფრის კონსტრუქტიული გამოყენება - ცოდნის უზარმაზარი წყაროა.

<u>პროგრესი.</u>

პროგრესი - სწორი ცოდნის კონსტრუქტიული გამოყენებაა რეალობის უკეთესისკენ შესაცვლელად.

სწორად პროგრესი , სხვადასხვა სფეროში და უპირველესად - მსოფლმხედველობაში , იყო განმაპირობებელი იმისა , რომ შუასაუკუნისეული "სიბნელის" ნაცვლად მოვიდა რენესანსი , საზოგადოება აღორძინდა. ამას კი , როგორც უკვე ვიცით , სწორი ფილოსოფია უზრუნველყოფს.

პროგრესი ცხოვრებას ამავებვებს. პროგრესი განვითარებას ნიშნავს. თუმცა განვითარება არაა თვითღირებული. განვითარება კარგია ერთგვარ ოპტიმუმამდე. ოპტიმუმი - ოპტიმალური

მდგომარეობაა. პროგრესი პირდაპირ კავშირშია რეალობის შეცნობასთან. ის კი - კავშირშია მიზეზ-შედეგობრივ ჯაჭვებთან და მათ სწორ შესწავლასთან.

არაერთხელ გვითქვამს მიზეზებისა და შედეგების თემასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი სიტყვები. რეალობის შემეცნებაში ასევე საჭიროა დავადგინოთ სწორად - რა რისი მიზეზია და რა რისი შედეგია. შედეგს თუ არასწორ მიზეზთან დაუკავშირებთ - ცრუ წარმოდგენა გამოგივათ , ვითომ ეს იწვევს ამას. ცრუ წარმოდგენები კი დესტრუქტიულია და არასწორი. თუ მიზეზს დაუკავშირებთ არასწორ შედეგთან - იგივე რამ გამოგივათ , ცრუ წარმოდგენა. ასე "სადღაც გაგონილი ცოდნა" წარმოშობს ცრუ წარმოდგენებს. კრიტიკული მიდგომის გარეშე ამ ცრუ წარმოდგენებთან ბრძოლა ძალიან რთულია. ამიტომაც , ცრუ წარმოდგენათა გაჩენის პრევენციის მიზნით და მათი არსებობის შემთხვევაში მათ აღმოსაფხვრელად რეალობის კვლევა ზედაპირული კი არა , არამედ უფრო ღრმაც უნდა იყოს , რათა გაიგოს კაცობრიობამ თუ რას წარმოადგენს რეალობა სინამდვილეში.

სწორი მიზეზ-შედეგობრივი კავშირების სწორივე შესწავლით იკვებება მეცნიერება , მეცნიერული ცოდნა , კონსტრუქტიული მიდგომა , მომავლის პროგნოზირება , პროცესთა მართვა , კეთილდღეობის მაჩვენებლის გაზრდა.

<u>ფილოსოფიური პროგრესი.</u>

როგორც ვნახეთ , პროგრესი მნიშვნელოვანია და ის ბევრ სფეროში შეიძლება იყოს. მაგრამ ვიცით , რომ პროგრესს ფსიქოლიგიური მზად ყოფნა სჭირდება. ამიტომაც ჯერ უნდა მოხდეს **ფილისოფიური პროგრესი** , როგორც ერთგვარი წინაპირობა , რადგანაც სწორად ფილოსოფია ადამიანის ფსიქოლიგიას ეფექტურად ცვლის.

როდესაც ადამიანი ხვდება იმას , თუ რამხელა მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ის ამ ჩვენს რეალობაში , სიცოცხლე უფრო გაცნობიერებული ხდება. სწორ ფილოსოფიაში საკუთარი თავის შეცნობას დიდი როლი აქვს.

ფილოსოფიური პროგრესი - მენტალიტეტთა პროგრესია. ადამიანის მიერ რეალობის გამოწვევათა ადექვატური შეცნობა - ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია სწორ ფილოსოფიაში.

<u>ფსიქოლოგიურ-ქცევითი პროგრესი.</u>

სწორ ფილოსოფიაში პროგრესის მოპოვება ნარნარი ნაბიჯით ფსიქოლოგიურ პროგრესში გადადის. ფსიქოლოგია როგორც აზროვნების სტილი , მსჯელობის პატერნი , ზოგადად ფილოსოფიის ასპექტებს ემყარება. საღად მოაზროვნეს ანუ საღი აზროვნების ფილოსოფიის მიმდევარს ფსიქოლოგიაც ბევრად უფრო მოწესრიგებული აქვს. ის რეალობას უფრო ადექვატურად აღიქვამს. და რაც უფრო სწორი ხდება ფსიქოლოგია , მით უფრო საალბათოა , რომ ქცევაც იქნება სწორი , ანუ ფილოსოფიური პროგრესი გადადის ფსიქოლოგიურ-ქცევით პროგრესში , რაც სწორი ფილოსოფიის დამკვიდრებას უწყობს ხელს. ჩნდება ფსიქოლოგიასა და ფილოსოფიას შორის უკუკავშირი. და ეს უკუკავშირი ამყარებს კონსტრუქტიულ ქცევას , რომელიც , თავისი მხრივ , ისევ ამყარებს ზემოთ აღნიშნულ უკუკავშირს.

<u>სოციალური პროგრესი.</u>

ფსიქოლოგიურად მზად მყოფი ადამიანები ქმნიან ფსიქოლოგიურად მზად მყოფ საზოგადოებას. ამ საზოგადოებაში რენესანსული განწყობა , ფსიქოლიგიურ-ქცევითი პროგრესით განპირობებული , ვლინდება სოციუმის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების

სახით. ადამიანებმა იციან რაც სურთ და როგორ მიაღწიონ იმას რაც სურთ. კონსტრუქტიული ქცევა კი ამ ფსიქოლოგიურ მომწიფებასა და მზად ყოფნას საზოგადოებრივი პროგრესის სახით ავლენს. მარტივად რომ ვთქვათ - ხალხი უკეთ ცხოვრებას იწყებს. მაგრამ ამისთვის უნდა ხალხმა შეიცნოს , რომ მას ეს შეუძლია , უკეთესი ცხოვრება. ასე ხდება კეთილდღეობის მომტანი მიზნის მიგნება და მისკენ სწრაფვა. სოციუმი მიზანს რომ მიაღწევს - ცხოვრების უკეთესი ეტაპი დაიწყება. ცხოვრება ადამიანების ხელშია!

მეცნიერული პროგრესი.

სოციალური პროგრესი საზოგადოებრივი გონის სახით ვლინდება. კაცობრიობა ინტერესს იჩენს მეცნიერების მიმართ , აქტიურად ხდება მეცნიერული განვითარების მონაწილე. მოდის მეცნიერული პროგრესი და ტექნიკური წინსვლა.

მეცნიერული პროგრესი თვალებს ახელს. ჭეშმარიტი მეცნიერება ჭეშმარიტების მომტანია. კაცობრიობა ეხება ამ ჭეშმარიტებას , ხდება უფრო შეგნებული , უფრო გაცნობიერებული.

მეცნიერული პროგრესი ცხოვრების ხარისხს აუმჯობესებს. მეცნიერება , შესაბამისად , კეთილდღეობის მაჩვენებელზეც მოქმედებს დადებითად. და ეს ხომ წიგნის თავშივე დასახული პუნქტი იყო - კეთილდღეობის მაჩვენებლის გაზრდა? დიახ! აი რამხელა ძალა ჰქონია სწორ ფილოსოფიას!

თუნდაც ის , რომ შეიქმნა წამლები და უამრავი აქამდე განუკურნებელი დაავადება განიკურნა , მეტყველებს იმაზე , რომ მეცნიერულ პროგრესს მართლა დადებითი გავლენა აქვს კეთილდღეობის მაჩვენებელზე.

ტექნიკური პროგრესი.

მეცნიერება ტექნიკური პროგრესის სახითაც ვლინდება. ის , რაც ადრე რთული და რუტინული ამ საერთოდ მძიმე შრომა იყო , ხდება უფრო ადვილი , სხვანაირი მეთოდებით შესრულებული ან საერთოდ მექანიზირებული. ბევრი რამ მარტივდება. პროგრესი ახორციელებს ამ გამარტივებას.

ტექნიკური პროგრესი უზრუნველყოფს ამ აღსანიშნავ უპირატესობებს:

- ხალხი ნაკლებად იღლება.
- ხალხს მეტი თავისუფალი დრო აქვს.
- პროცესები ნაკლებად ძვირი ხდება , რაც ხარჯების ეკონომიას განაპირობებს.

ამასობაში ხდება მომუშავე პერსონალის გადაკვალიფიცირება ახალი ტექნოლოგიების ათვისების მიზნით.

დრო შეიცვალა თუ ადამიანი?

პროგრესი და ცვლილებები დროის განმავლობაში ხდება. ხშირად გვესმის ასეთი სიტყვები: "დრო შეიცვალა" , "ადრე სხვა დრო იყო" , "სხვა დრო მოვიდა"... მაგრამ რას ნიშნავს "სხვა დრო" ან შეუძლია თუ არა დროს შეიცვალოს? დრო როგორც ასეთი **არ იცვლება**! იცვლება ადამიანთა ფილოსოფია და მასთან დაკავშირებული ნიუანსები (და ჩვენ უკვე ვნახეთ - როგორ) , იცვლება კეთილდღეობის მაჩვენებლი , იცვლება მენტალიტეტი , ტექნიკა , ტექნოლოგია , მეცნიერების დონე , მაგრამ დრო თვითონ როგორიც იყო , ისეთივე დარჩა. და რადგანაც ცვლილება ადამიანებს , უფრო სწორად - ფილოსოფიას ეხება და არა თვითონ დროს , პრინციპი ასეთია ,

რომ ნებისმიერ დროს , როგორც კი ატყობს ადამიანი რომ არ ჰყოფნის კეთილდღეობის მაჩვენებლის დონე - ნებისმიერ დროს შეიძლება მოხდეს რენესანსი! ნებისმიერ დროს. საუკუნესა და წელს არ აქვს მნიშვნელობა. მეტიც კი , წარსულის კარგი რაღაცების აწმყოსა და მომავალში დაბრუნებაც შეიძლება. საუკუნეს და წელს ხომ მნიშვნელობა არ აქვს , დრო ხომ იგივეა სინამდვილეში.

უნივერსალური გენიოსები და საყოველთაო რენესანსი.

გამოდის , რომ რენესანსი - ეპოქა კი არაა , არამედ პიროვნული და საზოგადოებრივი განცდაა , სწორი ფილოსოფიის გავლენით განპირობებული ფსიქოლოგიური მზად ყოფნის დროს , განცდაა კეთილდღეობისკენ სწრაფვისა და ამ მისწრაფების კონსტრუქტიული გზების შეცნობისა და ამ კეთილდღეობის მიღწევაა.

სწავლა , სწორი ფილოსოფია , ლოგიკა და სხვა ცოდნა იმდენად საოცარი ფენომენებია , რომ მათ შეუძლიათ ადამიანს გენიალურობა მიანიჭონ , თანაც უნივერსალური. ზოგს ჰგონია , რომ გენიოსად ადამიანი იბადება. საქმე იმაშია , რომ გენიალურობაში გენების როლი რომც იყოს ან თუ არის - ის მაინც უმნიშვნელოა იმ პირად შრომასთან შედარებით , რომელიც საჭიროა რომ პიროვნება გახდეს გენიოსი. **გენიოსებად არ იბადებიან , არამედ ხდებიან. არავინ არ იბადება გენიოსად , მაგრამ ყველას შეუძლია გახდეს გენიოსი**. ნიჭზე იგივე შეიძლება ითქვას.

ფილოსოფია არის ის გამაერთიანებელი "სუბსტანცია" , რომელიც ეხმარება ადამიანს გახდეს უნივერსალური გენიოსი , აერთიანებს რა ის სხვადასხვა მეცნიერებებს ერთ მთლიანობაში. გავიხსენოთ , როგორ მჭიდრო კავშირსა და ურთიერთგასვლებში იმყოფება მეცნიერებები ერთმანეთის მიმართ. ამ ყველაფრის შესახებ სწორი ფილოსოფია გვაუწყებს.

კონსტრუქტიული ოპტიმიზმი რეალობასთან მიმართებაში.

რეალობა ისეთია , როგორიც არის. რეალობა - რეალურია.

ზოგი ადამიანი დადებითად და იმედით უყურებს რეალობას. ის - ოპტიმისტია. ზოგს არ აქვს ეს იმედი და ის უარყოფითად უყურებს რეალობას. ასეთს პესიმისტს ვეძახით. ზოგი ამბობს , რომ უყურებს რეალობას რეალურად და რეალურადვე აფასებს მას. ის - რეალისტია. აქ სათქმელია ის , რომ კარგია , როცა ადამიანის ამ სტილში და ამ კრიტერიუმების მიხედვით დახასიათება შედგება შემდეგი პუნქტებისგან:

- ის ოპტიმისტურად მოაზროვნეა.
- ის კონსტრუქტიულად მოქმედია.
- ის რეალისტია.

და ამ სამი პუნქტის გაერთიანებით თურმე მიიღება სწორი ფილოსოფოსის დახასიათება რეალობის აღქმის მიხედვდა. ის რეალისტია , უყურებს და აღიქვამს რეალობას ისეთს , როგორიც არის ის სინამდვილეში , მას აქვს კეთილი იმედი იმისა რომ ის ააშენებს უკეთეს მომავალს , აქვს ეს ოპტიმისტური განცდა და მოქმედებს ამ მიზნის მისაღწევად კონსტრუქტიულად.

რეალობის გამოკვლევის მძლავრი საშუალება.

რეალობის კვლევა ისაა , რითაც არის დაკავებული სწორი ფილოსოფია , ზოგადად რომ ვთქვათ.

მეცნიერება იკვლევს რეალობას , იძლევა რა სწორ წარმოდგენას რეალობის ამა თუ იმ გამოვლინების შესახებ. იყო დრო , ადამიანმა არ იცოდა რა არის ელვა , ჭექა-ქუხილი , არ შეეძლო ცეცხლის გაჩენა... მაგრამ კვლევამ , საწყისი დონის იმდროინდელმა "მეცნიერულმა ცდებმა" დაეხმარა ადამიანს დაეუფლოს ცეცხლის სტიქიას. ადამიანი ძლიერია როცა მცოდნეა. მცოდნეა როცა სწავლობს. სწავლობს როცა ცოდნას იძენს. ცოდნას იძენს როცა სურს და მზადაა ამისთვის. მზად მაშინ არის როცა სწორ ფილოსოფიას მიიღებს , რომელიც მას ფსიქოლოგიურად მოამზადებს. გამოდის რომ ადამიანის ძალა სწორ ფილოსოფიაშია ჩამალული. და ამ სწორი ფილოსოფიის გასაღების პოვნით იწყება რენესანსი...

კომპლექსური მიდგომა.

ამ წიგნის წაკითხვისას ჩვენ დიდი გზა გავიარეთ , გავიხსენეთ "დავიწყებული" ანტიკური ხანა თავისი ფილოსოფიითურთ და იქიდან ნელ-ნელა გავიარეთ გზა რენესანსამდე - პიროვნულ და საზოგადოებრივ აღორძინებამდე. ჩვენ გავიგეთ , რას წარმოადგენს სწორი ფილოსოფია , გავიგეთ , რომ რეალობა ერთობლივია და კომპლექსური. კომპლექსურისა და ერთობლივის შესასწავლად ერთობლივი და კომპლექსური მიდგომა სჭირდება და ამ ერთობლიობისა და კომპლექსურობის მეცნიერულ საფუძველს თავად სწორი ფილოსოფია იძლევა და გვასწავლის რეალობის შესახებ , გვასწავლის რომ ვიყოთ ძლიერი და გამარჯვებული , რომ მივაღწიოთ კეთილდღეობასა და საყოველთაო რენესანსს!..

დ ა ნ ა რ თ ი

დედამიწა (A) სუბიექტურად ბრტყელია. ის ბრტყელია როდესაც ადამიანი (a) მის ზედაპირზე დგას. მაგრამ თუ ადამიანი (a) კოსმოსური ხომალდის (B) საშუალებით ავა ზევით ვარსკვლავებისკენ , კოსმოსურ სივრცეში (C) და იქიდან შეხედავს დედამიწას (A) - მას სფეროსთან დაახლოებული ფორმის მქონეს დაინახავს. ანუ დედამიწა (A) ობიექტურად სფეროსთან დაახლოებული ყოფილა. თავისთავად გასაგებია , რომ კოსმოსური ხომალდი (B) ამ დროს არაა დედამიწის ზედაპირზე (A) განთავსებული და არც ადამიანია (a) დედამიწის ზედაპირზე (A). მაგრამ ხომალდიც (B) და დედამიწაც (A) ორივეა კოსმოსურ სივრცეში (C) განთავსებული. ამ დროს ხომალდი (B) არის ადამიანისთვის (a) დედამიწის (A) საყურებლად შერჩეული ე.წ. არქიმედეს წერტილი.

არქიმედეს წერტილიდან შესაძლებელია ობიექტის ჭეშმარიტი რაობა ვნახოთ , ვნახოთ ობიექტური ჭეშმარიტება.

ადამიანისთვის (a) დედამიწის (A) საყურებლად შერჩეული არქიმედეს წერტილის (B) შერჩევის პირობები:

1) $B \notin A$

2) $B \in C$

3) $A \in C$

4) $a \in B$

ნუ უყურებთ პრობლემას მხოლოდ თქვენი ბრტყელი თვალსაზრისის ჭრილში. ამაღლდით და ზევიდან ან თუნდაც გვერდიდან უყურეთ მას და სულ სხვა კუთხით დაინახავთ , ხოლო სწორი კუთხის (სწორი წერტილის) შერჩევით ამა თუ იმ პრობლემის ობიექტურ ბუნებას ნახავთ.

ფილოსოფია ხალხისთვის გასაგები უნდა იყოს. ფილოსოფია ხალხის კეთილდღეობისთვის , ცხოვრების ამა თუ იმ სფეროების გასაუმჯობესებლად არსებობს და სწორად ამიტომ , რომ ფილოსოფიური მოძღვრება წარმატებული იყოს , ის ხალხის მიერ სწორად აღქმული , ადვილად აღქმადი უნდა იყოს. საზოგადოება - ფილოსოფიური ღვაწლის მომხმარებელია.

[ფილოსოფიის წარმატება] = [ფილოსოფიის გასაგები ენა] + [ხალხის მზაობა და სურვილი გაიგონ და მიიღონ ფილოსოფია].

აქედან გამომდინარე , საზოგადოებასთან ურთიერთქმედება , ნელ-ნელა და თანდათანობით მისი მომზადება , ფილოსოფიის ადვილსა და გასაგებ ენასთან ერთად ქმნის ამ ფილოსოფიის წარმატების მოპოვების საკმაოდ მაღალ ალბათობას.

ის , ვისაც ჰგონია რომ არასდროს ცდება , თუნდაც იმაში ცდება რომ ასე ჰგონია...

1. ბუნება
2. ლოგიკის კანონები
3. ფილოსოფია
4. დიდაქტიკური გააზრება
5. პედაგოგიური მეთოდი
6. ქცევის ფსიქოლოგია
7. ქცევა

ყოველი წინა პუნქტიდან ყოველი მომდევნო გამომდინარეობს.
თუ წინა პუნქტი ჭეშმარიტია და ადეკვატური - მისი მომდევნოც იქნება ასეთი.
ადამიანს ადეკვატური ქცევა რომ ჰქონდეს , სწორად (ადეკვატურად) ბუნების კანონები უნდა შეიმეცნოს.


ფრთხილად! დემაგოგიაა!

- შეცდომის შემცველი სილოგიზმი.
- თეზისის შეცვლა.
- საუბარში უმნიშვნელო წვრილმანებზე ნამეტანი ყურადღების მოქცევა.
- სადისკუსიო თემიდან პიროვნებებზე გადასვლა (ე.წ. პიროვნებისადმი არგუმენტი).
- მანკიერი წრე.
- თავისთავად ცხადობის ილუზია.
- ცრუ ავტორიტეტებით დებულების დამტკიცება.
- A-ს ჭეშმარიტების დამტკიცება იმაზე დაყრდნობით , რომ არავის დაუმტკიცებია , რომ A - მცდარია და პირიქით.
- ვარიანტების ორ ალტერნატივამდე დაყვანა (ან A ან B , მეტი არაა) როდესაც უფრო მეტი ვარიანტი არსებობს.
- დამტკიცება იმისა , რომ თუკი ჯერ მოხდა A და მერე B , აუცილებლად ნიშნავს იმას რომ ეს B A-დან გამომდინარეობს და მის შედეგს წარმოადგენს.


<u>თქვენს წინაშეა დემაგოგიის კლასიკური მეთოდები. დემაგოგია - ლოგიკურ შეცდომაში შეყვანის გზაა. გაითვალისწინეთ ეს პუნქტები , რათა არ გახდეთ დემაგოგის მსხვერპლი და არ აღმოჩნდეთ ლოგიკურ ჩიხში.</u>

ობიექტური ჭეშმარიტების შეცნობა დემაგოგიას ანადგურებს!

ცოდნის გადაცემას დიდი მნიშვნელობა აქვს. უპირველეს ყოვლისა , ბავშვებს უნდა ვასწავლოთ სწორი , ობიექტური აზროვნება. ეს უნარ-ჩვევა ბავშვობიდანვე ადამიანს უნდა ჰქონდეს ჩამოყალიბებული. აღმზრდელის საქმეა - სწორი აზროვნება ასწავლოს აღსაზრდელ სუბიექტს. ლოგიკა , ჯანსაღი კრიტიკული მიდგომა , ანალიტიკური მსჯელობა , აბსტრაგირება , აბსტრაქტული წარმოდგენა , კონსტრუქტიული საღი აზროვნება , ობიექტურად სწორი ინფორმაციის ობიექტურადვე სწორი დამუშავება , ამ ყველაფრის გამოყენება ცხოვრებაში - ეს ყველაფერი აღმზრდელმა უნდა შეასწავლოს აღსაზრდელს. აღზრდა მხოლოდ ბავშვს არ ეხება. ეს საყოველთაო და კომპლექსური პროცესია , საზოგადოებრივი გონების ფილოსოფიური აღორძინების ერთიანი კონცეფციის განუყოფელი ნაწილია.



რეალობის ნიადაგზე გაზრდილა მეცნიერებათა ხე. ამ მეცნიერებათა ცოდნა უზრუნველყოფს შინაგანი და გარე სამყაროს შემეცნებას და ამ სამყაროთა შორის ადექვატური კავშირის დამყარებას.



სწორად დასმული კითხვა , ამ კითხვაზე სწორი პასუხის ძებნა და მოპოვებული პასუხიდან სწორი დასკვნის გამოტანა , ინფორმაციის სწორი გამოყენება - შეცნობის პროცესის უმთავრესი ასპექტებია. დავუშვათ , გვაქვს რაღაც ფენომენი "A". გვაინტერესებს მისი კონკრეტული თვისება. აქ საჭიროა:

1. კითხვის ფორმულირების სისწორე. (ხომ უნდა ვიცოდეთ თუ რა გვაინტერესებს კონკრეტულად).
2. სწორი პასუხის ძებნა. (ბევრი გზა არსებობს. ეს შეიძლება იყოს დაკვირვება , ცდის ჩატარება , ინფორმაციის წყაროების შესწავლა და იქ პასუხის ნახვა ან იქნებ რამე სხვა).
3. მიღებული პასუხის A-ფენომენთან მიმართებაში სწორი გააზრება და A-ს შესახებ ფაქტად ჩამოყალიბება.

$$m = g(\, s(w) \,;\, k(a) \,)$$

მომავალი - ორცვლადიანი ფუნქციაა წარსულის საღი შეფასებისა და აწმყოს კონსტრუქტიული აწყობისგან.

m - მომავალი , w - წარსული , a - აწმყო , s - საღი შეფასება , k - კონსტრუქტიული აწყობა , g - გამოყვანაა მომავლისა.

სწორი ფილოსოფია საზოგადოებრივი გონების განვითარებას ხელს უწყობს. რაც უფრო განვითარებულია საზოგადოებრივი გონება , მით უფრო საალბათოა სწორი ფილოსოფიის გაჩენა-განვითარება ასეთ საზოგადოებაში და ეს ფილოსოფია სოციუმს უფრო განავითარებს , მაშასადამე უფრო ღრმად სწორი და პროგრესიული ფილოსოფიური აზრების გაჩენაც გახდება საალბათო და მოსალოდნელი , ეს კი უფრო განავითარებს სოციუმს , რომელსაც კიდევ უფრო სწორი აზრებისადმი სწრაფვა და უფრო კონსტრუქტიული ფილოსოფია ექნება... და ასე ციკლურად...

ფილოსოფია - განვითარების მძლავრი საშუალებაა.

შეიცანი შენი თავი...
როგორ? რითი დავიწყო?..

- შენ ხარ **ადამიანი** , მაგრამ ბიოლოგიურად და ფსიქოლოგიურად , **რას ნიშნავს "ადამიანი"** და **რა ახასიათებს ადამიანს**? ასე ვთქვათ , **რითი გამოირჩევა ადამიანი**?
- დაფიქრდი , **როგორი ხარ** და **რატომ ხარ მაინცდამაინც ასეთი , როგორიც ხარ**?
- გაიაზრე **შენი ფსიქოლოგია** , **ქცევის მოტივები** , ამა თუ იმ ფაქტორზე **შენი რეაგირების მახასიათებელი სტრატეგიები**.
- დაფიქრდი , **როგორი ფილოსოფიის მიმდევარი ხარ**? **რა არის ფასეული შენთვის და რატომ**? ღრმად გაიაზრე ამის **მიზეზები**.
- დაფიქრდი , **როგორ უკავშირდება შენი ქცევა და შენი ფსიქოლოგია შენს ფილოსოფიას**?
- დაფიქრდი , **ხარ თუ არა ლოგიკურად მოაზროვნე**?
- დაფიქრდი , **ხარ თუ არა კრიტიკულად მოაზროვნე**?
- დაფიქრდი , **ხარ თუ არა ანალიტიკურად მოაზროვნე**?
- დაფიქრდი , **ხარ თუ არა აბსტრაქტულად მოაზროვნე**?
- დაფიქრდი , **ხარ თუ არა კონსტრუქტიულად მოაზროვნე**?
- **რამდენად ხარ პატიოსანი საკუთარ თავთან**?
- **რამდენად ხარ ობიექტურად მოაზროვნე**?

დედუქცია და ინდუქცია.

- **დედუქცია** - ზოგადი თეორიიდან (დებულებიდან) კერძო შემთხვევებზე (მაგალითებზე) გადასვლა და ამ პროცესის თანმხლები ლოგიკური აზროვნებაა. დედუქცია არსებული თეორიის საფუძველზე მოვლენათა და ვითარებათა ასახსნელად გამოიყენება.
- **ინდუქცია** - კერძო შემთხვევებიდან (მაგალითებიდან) ზოგად თეორიაზე (დებულებაზე) გადასვლა და ამ პროცესის თანმხლები ლოგიკური აზროვნებაა. ინდუქცია ფაქტებზე დაყრდნობილი თეორიის გამომუშავებისთვის გამოიყენება.

ორივე მეთოდი გამოსადეგია და კარგია როცა დროულად და გამართულადაა გამოყენებული. დედუქციისას აღებული თეორია ობიექტურ ჭეშმარიტებაზე შემოწმებული უნდა იყოს. ინდუქციისას განხილული კერძო შემთხვევები უნდა ადექვატურად შერჩეული და ობიექტურ ჭეშმარიტებაზე შემოწმებული იყოს. ზოგადად დედუქციის ან ინდუქციის გამოყენებისას ინფორმაციის შერჩევა , შეგროვება , დამუშავება და აღქმა სიფრთხილესა და გონივრულ მიდგომას ითხოვს , რათა შედეგი იყოს სწორი და ობიექტურად ჭეშმარიტი.

აღვნიშნოთ დედუქციის პროცესი d-თი , ხოლო ინდუქციის პროცესი - i-თი.

- **$d(A) = \{A_1 ; A_2 ; A_3\}$, ანუ ზოგადი დებულება A არის ის , რითაც აიხსნება A_1 , A_2 და A_3 კერძო შემთხვევები. თუ დებულება ჭეშმარიტია - ჭეშმარიტია კერძო შემთხვევებიც.**
- **$i(\{B_1 ; B_2\}) = B$, ანუ B_1 და B_2 კერძო შემთხვევები B თეორიას ადასტურებს. თუ კერძო შემთხვევები ჭეშმარიტია - ჭეშმარიტია ზოგადი თეორიაც.**

საინტერესოდ გამოიყურება ინდუქციისა და დედუქციის კომბინაცია:

1. **$i(\{C_1 ; C_2\}) = C$.**
2. **$d(C) = \{C_3 ; C_4\}$.**

ამ დროს არსებულ ჭეშმარიტ C_1 და C_2 ფაქტებზე დაყრდნობით მივიღეთ არანაკლებად ჭეშმარიტი **სხვა** ფაქტები C_3 და C_4. მივიღეთ ლოგიკურად , **მიუხედავად იმისა , რომ ეს ახალი ფაქტები ამ კვლევაში ჩვენი შემჩნევის (ცოდნის) მიღმა იყო.**

იმედი მაქვს ,
ოდნავ მაინც
განიცადე შინაგანი
რენესანსი ,
პატივცემულო
მკითხველო...